ხობის მოამბე

№16 (7007) 28 სექტემბერი, შაბათი, 2013 წელი.

ფასი 70 თეთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი

28-29 სექტემბერი—ხობი საერთაშორისო ფესტივალს „სიმღერა სამეგრელოზე“ მასპინძლობს

ბრონვიძ ქართველ ფოლკლორზე ერთ ძარცო კოლცერული, ერთეულად სახელ-მწიფოებრივი ძნიშვნელობის საქმეა და ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების ერთ-ერთი გზაჩვენი.

ღმერთმა დალოცოს ხობის ფეს-ტივალის ორგანიზატორები და მონაწილენი;

ღმერთმა დალოცოს სამეგრელო, უძველესი კოლხეთი და სრულიად საქართველო.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.



ხობის ფესტივალს ეროვნულ და სახელმწიფოებრივ საქმეს ვუწოდებდი. ფესტივალის ორგანიზატორები ერთან ადამიანები, რომელნიც საკუთარ მისია ეწინააღმდეგად იმაში ხედავენ, რომ ჩვენი უდიდესი საძოსიკო მემკვიდრეობა არ ჩაიკარგოს იმ ფერთა გამაში, რომელსაც მსოფლიოს ხალხთა კოლტურული მემკვიდრეობა ჰქვია. დიდი მადლობა მათ ამისათვის.

მეუფე გრიგოლი_ფოთისა და ხობის მთავარეპისკოპოსი.

ფესტივალი–2013

პროგრამა

28 სექტემბერი

სტუმრების ჩამოსვლა და განთავსება ოჯახებში

14.00 – 18.00

ფესტივალის მონაწილეებისა და სტუმრებისათვის ექსკურსიები და მეგრული სამზარეულოს გაცნობა;

20.00

ფესტივალის პრეზენტაცია და სამეგრელოს მხატვრული კოლექტივების მისალმება ფესტივალის მონაწილეებსა და სტუმრებს. დასასრულს ახალგაზრდული დისკოთეკა.

ხობის ცენტრი;

29 სექტემბერი

სტუმრების ჩამოსვლა და განთავსება ოჯახებში.

12.00– 17.00

კონცერტი სამეგრელოსა და სხვა რეგიონების მხატვრული კოლექტივების მონაწილეობით, სპორტული და გასართობი ღონისძიებები (ნარდი, ჭიდაობა, ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა).

ხობის ცენტრი;

12.00 – 17.00

ფესტივალის მონაწილეებისა და სტუმრებისათვის ექსკურსიები და მეგრული სამზარეულოს გაცნობა;

19.30

გალაკონცერტი მზიურის ფესვებიდან-(ანსამბლ „მზიურის“ სხვა და სხვა თაობის წარმომადგენელთა და ბავშვთა ქართული და უცხოური კოლექტივების მონაწილეობით).

ხეთის თეატრონი;

ფესტივალის დახურვა და გრანდიოზული ფეიერვერკი.

სამეამკვიდრეო საქმის გადასარჩენად

გოდერძი ბუკია, საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ხობის“ პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი.

ჩემო ხობელებო, ათი წელი გეფიდა მის შემდეგ, რაც ერთად დგეიწყეთ ხოლნეგ ჩვენი ფოლკლორის გადასარჩენად. ხობის სიერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში ბევრი საინტერესო, საგულისხმო და საძიებელი სამეგრელოს გეკეთება შეეძლით. მოვეგროვეთ ბრბერთი ძეგლური სიმღერა, დეფეფეძნეთ ქაბთული ხალხური სიმღერის მოზეეში, როშელსაც ეკრობაში ანალოგი არ აქვს. ჩაეტარეთ ბევრი მასშტაბური ღონისძიება და რაც მთავარია, აქ პატარა რაიონის სახელი მთელ ქვეყანას გეეცანით. საერთაშორისო ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“ ეკვე ხობის საეიხიდო ბრენდია ქცეული.

როცა ეს საქმე დეეიწყე, თეეიდანვე ქქონდა ჩანაფიქრი, რომ ახალგაზრდებს, მოძეველ თაობას საკეთარი ნიჯის ნარმოჩენის ფასეულობა მისცემოდა. ამის დასტურია თუნდაც ე.-5 ფესტივალი. ხობელი ნინო გოთოშია ფესტივალმა აღმოაჩინა და ეხა ეაოხსნა დიდი სცენისაკენ. ჩვენი ხელშეწყობით ის დღეს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებულ მოსიკალურ ათნლეულში სწავლობს და წლევანდელ ფესტივალზე ძმა ეკვე სახელგანთქმულ ანსამბლ „ოესთავთან“ ერთად მოვეესმენთ.

ამაც ისაა ძალთხეევითი, რომ ე.-6 ფესტივალი ბავშვების იძლევება. ეს-ჩვენი 10 წლიანი ძალის ერთგვარი შეჯამებაა. ლეგენდარული ანსამბლ „შხიერის“ დამსახურების აღნიშვნა კი, ყველა ნიჯიერი ნარმოჩენილისთვის სტიმული იქნება.

მიოხვდავად იმ დანაკლისისა, რომელიც ჩვენი შემოქმედებითი ჯგუფის ლეანლმოსილი ხელის, საფესტივალო გამოცემების უცვლელი რედაქტორის, ხობის საპატიო მოქალაქის, ბატონი ვახტანგ როდონაიის გარდაცვალებით გაჩვიცადეთ. ფესტივალი ტრადიციის ძალიც არ ლალატობს და ძალიან სიინტერესო გამოცემებს გთავაზობთ, რომელთა პრეზენტაციი ფესტივალის გახსნის დღეს ძალზედ.

ხობს კვლავ არარეთი ცნობილი და საპატიო სტუმარი ეესტეა. ჩვენ კიდევ ერთხელ შევძლებთ, დავეაფასოთ ერთიერთთანხვადგომა, ერთსულოვნება და ტრადიციული სტუმარმასპინძლობა.

გილოცავთ!

ჩვენ ერთად, დაუღალავი შრომის, წარმატების, სიხარულის, 10 წლიანი გზა განვვლეთ და დღეს, თამამად შეგვიძლია ერთმანეთს ეს იუმილე მივულოცოთ.

“სიმღერა სამეგრელოზე“ უკვე მრენდია, ხომის თვესტივალმა ღრმა კვალი დაცოვა ქართულ მუსიკალურ ცხოვრებაში. საფესტივალოდ გამოცემული მასალები კი მნიშვნელოვან სამსახურს უწევს ჩვენი ფოლკლორის პოპულარიზაციას.

საგულისხმოა ისიც, რომ ხომის თვესტივალმა ერთგვარი ხიდი გადო წარსულსა და აწმყოს შორის, ახალგაზრდებს კიდევ ერთხელ შეახსენა წინაპართა ამაგი და გაზარდა ჩვენი ერთგული თანამოგზაურებისადმი მათი ინტერესი.

იმედი მაქვს, რომ ისინი ამ გზას ღირსეულად გააგრძელებენ.

კიდევ ერთხელ მინდა მადლობა ვუთხრა ხომის მოსახლეობას, თვესტივალის ერთგულებისა და მხარდაჭერისთვის.

მარინა მიქაძე, საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ხობის“ აღმასრულებელი დირექტორი და ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფის წევრი.

ქართული ფოლკლორის ---------ზ ე ი მ ი---------

28-29 სექტემბერს ხობი კვლავ ხელოვნების დიდი ზეიმის ეპიცენტრად იქცევა. საერთაშორისო ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“ ქართული სიმღერის მოყვარულებს მეექვსედ უხმობს. ფესტივალის ორგანიზატორებია „განათლების, კულტურისა და სულიერების აღორძინების საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ხობი“ (პრეზიდენტი–გოდერძი ბუკია) და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

და ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი. ფესტივალის გალა–კონცერტის სლოგანია „მზიურის ფესვებიდან“. „ეს იქნება ქართული სიმღერის ნამდვილი ზეიმი–თაობათა გადაძახილი. მაყურებელი ერთმანეთის გვერდით იხილავს საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებს. სპეციალურად ფესტივალისთვის მეგრულად ამღერდებიან ინგილოები, ოსები და აფხაზები. გვეყოლება მონაწილეები მოსკოვიდან და სხვა ქვეყნებიდან. ვფიქრობთ, რომ ეს ფესტივალი ბევრ ნიჭიერ და პერსპექტიულ ახალგაზრდას გაუხსნის მომავლის გზას“ – აცხადებენ ორგანიზატორები. ფესტივალის კულმინაციაა ლეგენდარული ანსამბლ „მზიურის“ ბენეფისი. მოეწყობა სპეციალურად ხობის ფესტივალისათვის შექმნილი წიგნის – „დაჰკარით დაფდაფებს“ პრეზენტაცია (რედაქტორი პაატა ნაცვლიშვილი). ფესტივალის რეჟისორი სოსო ნემსაძეა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესი ილია II-ს ლოცვა-კურთხევამ ხობის ფესტივალს თავიდანვე წარმატება და წინსვლა დაანათლა. წელს ის ხობს კვლავ ესტუმრება. ფესტივალის სტუმრები იქნებიან ასევე პრემიერ–მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, მთავრობის სხვა წევრები და პარლამენტარები.

ცნობისთვის: ხობის ფესტივალს უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი ქართული ფოლკლორის პოპულარიზაციისა და მოვლა-პატრონობის საქმეში. მოძიებული და ჩაწერილია 1000-ზე მეტი სიმღერა, რომლებიც გაერთიანდა 4 სანოტო კრებულში ქართულ-ლათინური ტრანსლიტერაციით, ქართუ-

3

ჩვენთვის უდიდესი პატივია ღირსეული მასპინძლობა

ხობს და ხობელებს მინდა მივულოცო ის ფაქტი, რომ 28 სექტემბრიდან ორი დღის განმავლობაში ხობი მეექვსედ უმასპინძლებს უკვე ტრადიციადქცეულ საერთაშორისო ფესტივალს „სიმღერა სამეგრელოზე", რომელიც 2003 წლიდან, ორ წელიწადში ერთხელ ფონდ „ხობის" პატრონაჟით ტარდება და რომლის სულისჩამდგმელი საქართველოს პარლამენტში ხობის მაჟორიტარი დეპუტატი გოდერძი ბუკია გახლავთ.

ფესტივალს უდიდესი წვლილი შეაქვს ქართული ფოლკლორის პოპულარიზაციისა და განვითარების საქმეში. წელსაც არაერთი უცხოელი ეწვევა ხობს, რომლებიც დიდი სიყვარულით ააჟღერებენ მეგრულ ჰანგებს, ფესტივალის პროექტის ფარგლებში „მზიურის ფესვებიდან" მონაწილეობას იღებს ლეგენდარული ანსამბლი „მზიური."

ფესტივალის დღეებში ხობს არაერთი გამოჩენილი და საპატიო სტუმარი ეწვევა. ჩვენთვის უდიდესი პატივია ღირსეული მასპინძლობა გავუწიოთ ფესტივალის სტუმრებს.

მამუკა ქარდავა,
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ინტერვიუ

ამასწინათ რედაქციაში ბატონი გოგი ბუკია–დამსახურებული პიროვნება, გაზეთის დიდი გულშემატკივარი, ერთგული მკითხველი და ჩვენი მეგობარი გვესტუმრა. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის დედაქალაქში სამუშაოდ გადასვლის შემდეგ ბატონი გოჩა ქაჯაია ახლადდანიშნული იყო მოვალეობის შემსრულებლად. ბატონმა გოგიმ მოსალოცი ბარათი მოიტანა. კატეგორიულად მოითხოვა მისი დაბეჭდვა, ჩემი სათქმელი ხალხის გასაგონადაა თორემ, ამას თავად გოჩასაც ადვილად ვაახლებდიო...

ამონარიდი ბატონი გოგი ბუკიას მოლოცვიდან: „სამწუხაროდ კარგა ხანია ხობელებს ხვალინდელი საქმის მკეთებელი ხელმძღვანელი არ გვყოლია. თქვენ კი ეს აუცილებლად უნდა შეძლოთ, თუნდაც იმიტომ, რომ თქვენს გენში სამშობლოსათვის თავდადების სამაგალითო მუხტი მძლავრობს. თავდადებას კი ხობელთა თანადგომა აუცილებლად მოყვება, რაც მათ არაერთხელ დაუმტკიცებიათ..."

ჩვენც ვუერთდებით ხობელთა გულისთქმას და „ხვალინდელ საქმისმკეთებელ" გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს ბატონ გოჩა ქაჯაიას ვულოცავთ მაღალ თანამდებობას. ამჯერად მუნიციპალიტეტის სახვალიო გეგმებზე, პრობლემებზე, საკეთებელ საქმეებზე, საპრეზიდენტო არჩევნებზე, ახალი ხელისუფლების ამოცანებზე ვესაუბრეთ.

ვფიქრობთ, მისი ხედვა საინტერესო იქნება მკითხველისათვის.

„თანამდებობა ტვირთი და დიდი პასუხისმგებლობაა"

ბატონო გოჩა, იშვიათად, მუნიციპალიტეტის ახლადდანიშნულ ხელმძღვანელს ამდენი კეთილი თვალით მომზირალი ჰყოლოდეს. გავკადნიერდები და გეტყვით, ეს მარტო თქვენი პიროვნული თვისებების გამოა თუ იმ ჯიშისა და გენის „ბრალია", საიდანაც მოდიხართ. თენგიზ ქაჯაიას ძმობა ბევრს გავალდებულებთ, მაგრამ მეორე მხარეც–თქვენი მეუღლის მშობლების–ლამარა ჩაჩიბაიას და ჯანგირ შუშანიას ჯიშ-ჯილაგიც არანაკლებ საპატიოა, რას იტყოდით ამაზე, გაეცანით მკითხველს, რა გზა გამოიარეთ ვიდრე ამ სკამს მოირგებდით?

–საკუთარ თავზე საუბარი უხერხულიცაა და ძნელიც, მაგრამ დღემდე გავლილი ცხოვრების გზა მაძლევს ძალას გესაუბროთ ამის შესახებ. გულახდილად ვამბობ, გულშემატკივართა სიმრავლეს მეც ვგრძნობ, რა თქმა უნდა, მსიამოვნებს და ორმაგად მავალდებულებს. ვცდილობ, ვისაც ვეიმედები მოლოდინი არ გავუცრუო. ამას მავალდებულებს ჩემი და ჩემი მეუღლის ოჯახების წარსულიც. გასული საუკუნის ავადსახსენებელი წლების შემდეგ საქართველოდან წავედი. მოსკოვსა და როსტოვში მცირე ბიზნესი ავაწყვე, რამდენიმე წლის შემდეგ დავოჯახდი და როგორც თქვენ აღნიშნეთ, ცხოვრება ჯანგირ შუშანიას ქალიშვილს დავუკავშირე. ალბათ, ეს ღვთის ნებაც იყო, რათა ჩვენს ოჯახებს ჰქონდათ არაერთი საერთო ღირებულებები: პატიოსნება, სამართლიანობა, თავმდაბლობა, რასაც ჩვენი ოჯახი დღემდე ინარჩუნებს. ფაქიზად უფრთხილდება მათ სახელებს და ოჯახურ ტრადიციებს. ამასვე ვასწავლით და ვაჩვევთ ჩვენს შვილებს.

ვიდრე მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შესრულება დამეკისრებოდა, ვიყავი საჯიჯაოს საკრებულოს თავმჯდომარე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ფრაქცია „ქართული ოცნება– დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე.

და მაინც მთავარი კრიტერიუმი, რომლითაც იხელმძღვანელებთ?

–მთავარი კრიტერიუმი ჩემზე დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად არის ობიექტურობა, მოსახლეობის მოთხოვნების მაქსიმალური დაკმაყოფილება. მრავალი სურვილი მაქვს, მაგრამ მთავარია

>>>>>>>> 4

ქართული ფოლკლორის ---------ზ ე ი მ ი---------

ლი ხალხური სიმღერის ოსტატთა ოთხტომეულში შეიკრიბა და გაცოცხლდა 43 საუკეთესო ლოტბარის მონოგრაფია, გამოცემულია კატალოგები, ცნობარები, კომპაქტდისკები და სხვა. სპეციალურად ფესტივალისთვის შექმნილია ათეულობით ახალი სიმღერა. ფესტივალის ეგიდით 2007 წელს ხობში განხორციელდა სრულიად უნიკალური პროექტი: დაფუძნდა ძუკუ ლოლუას სახელობის ქართული ხალხური სიმღერის მუზეუმი (სამეგრელო), რომელსაც ანალოგი არ აქვს მსოფლიოში. ფესტივალი, რომელმაც მრავალფეროვანი ღონისძიებებით, უნიკალური ნაბეჭდი და აუდიო– გამოცემებით, გამოჩენილ მუსიკოსთა საიუბილეო და შემოქმედებითი საღამოებით, შესანიშნავი კონცერტებითა და დისკოთეკებით საზოგადოების სიყვარული და მრავალი ჯილდო მოიპოვა, მნიშვნელოვან მუსიკალურ მოვლენად და საერთო-სახალხო დღესასწაულად იქცა.

„სიმღერა სამეგრელოზე" მართლაც გამორჩეულია თავისი შინაარსით, დანიშნულებით, ისტორიისადმი მოკრძალებული დამოკიდებულებითა და ტრადიციების პატივისცემით. მის პოპულარობაზე ნათლად მეტყველებს უცხოელი მონაწილეებისა და ქართული დიასპორის წარმომადგენლების დიდი ინტერესიც. ფესტივალი განსაკუთრებულად ამაყობს გამოჩენილი ადამიანების, ცნობილი კომპოზიტორების, მომღერლებისა და ხელოვნების მოღვაწეების სისტემატური სტუმრობით. ხობის ფესტივალის შემოქმედებითი ჯგუფი, რომელსაც სათავეში ქართული კულტურის ღვაწლმოსილი ადამიანები უდგანან, საზოგადოებას ჩვენი ეროვნული საუნჯის პოპულარიზაციის სულ უფრო ახალ, საინტერესო ფორმებს სთავაზობენ და ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობენ საფესტივალო ღონისძიებებში ახალგაზრდობის მონაწილეობას.

„წლების მანძილზე ხობმა ბევრ დამწყებ მომღერალს დაუთმო სცენა და დაულოცა გზა. წელს კი ფესტივალის 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით მაყურებელს არნახული სანახაობა ელის,"–აცხადებენ ორგანიზატორები.

ინტერვიუ

„თანამდებობა ტვირთი და დიდი პასუხისმგებლობაა“

3

ამ სურვილების განხორციელების გზა და საშუალება არსებობდეს, რაც ძალიან მეიმედება.

მახსოვხართ საჯიჯაოს საკრებულოს თავმჯდომარეობიდან, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე, ე.ნ.მ-ის აქტიური მხარდამჭერი, რა მოგცათ იმ წლებმა, უფრო სწორად, ქართული ოცნებისაკენ მიმავალ გზას თუ გაიხსენებთ? ერთი წელი შესრულდა „ცოცხების“ კაღრების ჩვენებიდან, ამ დღეს დაიწყო ეს გზა თუ მანამდეც გქონდათ შეხება „ქართულ ოცნებასთან“?

–ქვეყნის ამჟამინდელი პრემიერის ბატონ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენიდანვე თვალს ვადევნებდი საქართველოში მიმდინარე პროცესებს, თუმცა ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე მანამდეც მქონდა ჩემი შეხედულება და დამოკიდებულება.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პარტიის წევრი არასოდეს ვყოფილვარ. როგორც ხალხის უმეტესობა, მეც იმედებით და სიხარულით ვუჭერდი მხარს ვარდების რევოლუციას, სამართლიანობა მოითხოვს გითხრათ, იმ პერიოდში ბევრი რეფორმა გატარდა, გასაგებია რომ რეფორმები უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობს, მაგრამ თანდათან მივხვდი, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ დაივიწყა ყველაზე მთავარი–ხალხი.

ვხედავდი, რომ ცხოვრება დღითიდღე გაუსაძლისი ხდებოდა. ხობის მუნიციპალიტეტის მაგალითზე უამრავი ინდმეწარმე, რაიონის ხელმძღვანელი თუ რიგითი დააპატიმრეს, ის წლები გასული საუკუნის ე.წ ოცდაჩვიდმეტიან წლებს დაემსგავსა. შემდეგ თითქოს დროებით მინელდა ეს პროცესი, მაგრამ გასული წლის ცისის კაღრების ჩვენებამ ზღვარს გადააჭარბა, მოთმინების ფიალა ამევსო, უკვე კარგად გავაცნობიერე რა საფრთხის წინაშე ვაყენებდი საკუთარ თავს და ოჯახს ჩემი განცხადებით–„ქართული ოცნების“ მხარდაჭერის ნების გამოხატვით, მაგრამ სხვაგვარად არ შემეძლო. უბრალოდ ქუჩაში ვერ გავიდოდი, ხალხს თვალებში ვერ ჩავხედავდი (ამას ჩემი და–ძმის სულიც არ მაპატიებდა). მაშინაც მჯეროდა, რომ ჩემი გადადგმული ნაბიჯი სწორი იყო (მიუხედავად მავანთა მითქმა–მოთქმისა). ალბათ, ეს იყო ის გენი, რომელიც თან მდევს და რაც თქვენ ახსენეთ.

სულ რამდენიმე კვირაა გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ბრძანდებით. ალბათ, უკვე მოასწარით თქვენს მოვალეობებში ჩახედვა, მძიმეა ეს ტვირთი?

–ვიდრე, როგორც თქვენ ამბობთ, სკამს მოვირგებდი, ჩემთვის უცხო არ ყოფილა გამგებლის მოვალეობები, პასუხისმგებლობა მოსახლეობის წინაშე, გადაწყვეტილების მიღებისას თუკი იქნები ობიექტური, სხვისი ჭირისა და ლხინის მოზიარე, ტვირთიც შეგიმსუბუქდება, გავლილი გზისკენ მოხედვის არ შეგრცხვება და წინსვლაც გაგიადვილდება, მაგრამ ისე არ არის, რომ თანამდებობა ტვირთი და დიდი პასუხისმგებლობა არ იყოს.

უპირველესად რა საკითხებზე გაამახვილებთ ყურადღებას, რომელი დარგების განვითარებას მიანიჭებთ უპირატესობას?

–უპირველესად ხალხის ნებას გავითვალისწინებ და იმ საკითხების მოგვარებას შევეცდები, რასაც ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობა „დამიკვეთავს.“

მუნიციპალიტეტის საკრებულომ ერთხმად დაგიჭირათ მხარი. იქ თქვენი წლობით ნაშენები სამყაროა, სამეგობროზე არას ვამბობთ, ოფიციალური ურთიერთობები როგორი გაქვთ, თანამშრომლობაში რამე ხომ არ შეცვლილა?

–მეგობრები ყველგან მყავს, ისინი არიან სხვადასხვა პარტიის (მათ შორის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის) მხარდამჭერები და წევრები, ასევე უპარტიო ადამიანები. ჩემი მათდამი დამოკიდებულება არ შეცვლილა. ვთვლი, რომ მეგობარი უნდა იყოს ბოლომდე ერთგული, მნიშვნელობა არა აქვს მის პოლიტიკურ შეხედულებებს, მაგრამ ამავდროულად მეგობარს გაფრთხილება უნდა და არა საკუთარი აზრის თავს მოხვევა. როგორც ვთქვი, ჩემი დამოკიდებულება მეგობრების მიმართ არ შეცვლილა და რამე განსაკუთრებული შემთხვევა თუ არა, არც შეიცვლება. საკრებულოდანაც იგივეს ვგრძნობ, თანამშრომლობაშიც და ურთიერთობაშიც, ყველაფერი ისე დარჩა, როგორც მანამდე იყო.

თქვენი დამოკიდებულება მეგობრებისადმი, მათი არჩევის თქვენეული კრიტერიუმი როგორია?

–ამ კითხვას მგონი ვუპასუხე, მეგობრებს პარტიული ნიშნით არ ვირჩევ. მთავარია ერთგულება და პირდაპირობა.

მაინტერესებს თქვენს ხასიათში თუ დევს პრინციპულობა და რას ვერ პატიობთ ადამიანს?

–ვფიქრობ, საკმაოდ პრინციპული ვარ, აზრს უბრალოდ არ ვიცვლი. ის, რაც გასაკეთებელია, ყველამ უნდა ვაკეთოთ. რას ვერ ვპატიობ? ალბათ ტყუილს და ღალატს, ოღონდ ღალატში არ ვგულისხმობ მეგობრისა და თანამშრომლის მიერ საკუთარი განსხვავებული აზრის დაფიქსირებას.

რას მოითხოვთ თანამშრომლებისაგან?

–უპირველესად კოლეგიალობას, მათი ფუნქციების პირნათლად შესრულებას.

ბატონო გოჩა, მართალია, თქვენთვის უცხონი არ იყვნენ, მაგრამ მაინც, როგორი გუნდი დაგხვდათ (საერთოდ მხარს უჭერთ გუნდურ პრინციპს?) საკადრო ცვლილებებს ხომ არ გეგმავთ?

–მხარს ვუჭერ გუნდური პრინციპებით მუშაობას, საკადრო ცვლილებებზე ჯერჯერობით თავს ვიკავებ, ამას დრო და მათი მუშაობის ანალიზი მიჩვენებს.

პროექტები, რომელიც გეიმედებათ?

–წინასწარ გეტყვით, ფუჭი დაპირებები არ მიყვარს. ქვეყანაში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, მჯერა, უახლოესი მომავალი იქნება წარმატებული და ხალხის ინტერესებზე მორგებული. რა თქმა უნდა, იქნება ბევრი ახალი პროექტი, გაჩნდება სამუშაო ადგილები, მოსახლეობა შვებას იგრძნობს.

ვიცი, საჯარო მოხელე ბრძანდებით, და, ალბათ, თავს შეიკავებთ, მაგრამ რას იტყვით კარსმომდგარ საპრეზიდენტო არჩევნებზე?

–საპრეზიდენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს მაქსიმალური ობიექტურობით და გამჭვირვალობით, ისე, რომ მოსახლეობას მიეცეს საშუალება აირჩიოს ის, ვისიც სჯერა, ვისაც ანდობს ქვეყნის ბედს. დარწმუნებული ვარ, არჩევნები მშვიდ ატმოსფეროში ჩატარდება, ხალხი არჩევანში არ შეცდება, რაც საპარლამენტო არჩევნებმაც დაადასტურა.

და ბოლოს, ერთხელ კიდევ შევეხები თქვენს გაუნელებელ ტკივილს და ამავდროულად სიამაყეს, გაიხსენეთ თქვენი ძმა თენგიზ ქაჯაია–გმირი, რომელმაც უშურველად შესწირა სიცოცხლე ქვეყნის დამოუკიდებლობას და თავისუფლებას.

–თენგიზი ჩემი თანმდევი ტკივილი და სიამაყეა. მას ჯერ კიდევ მაშინ, ვიდრე რაიონის პრეფექტი გახდებოდა, ნათლად ჰქონდა ჩამოყალიბებული, თუ როგორი ცხოვრებით უნდა ეცხოვრა ქვეყანას.

დამოუკიდებლობის მნიშვნელობა კარგად ჰქონდა გააზრებული, ალბათ ლოგიკურიც იყო, ქვეყნის დამოუკიდებლობას თავი რომ შესწირა, სხვა არჩევანი არც ექნებოდა, იდგა იქ, სადაც ქვეყნის თავისუფლების და დამოუკიდებლობის ბედი წყდებოდა. მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო, ქვეყანა ნელ–ნელა ტკივილებით, რთულად, მაგრამ მაინც წინ მიიწევს. როცა ჩვენი ქვეყანა მიაღწევს დასახულ მიზანს, როცა საქართველო გახდება ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი, მაშინ თენგოს და მისი თანამებრძოლების ოცნებაც ფრთებს შეისხამს.

ბატონო გოჩა, დღეს ხობს უამრავი სტუმარი ეყოლება, ხობელებმა არაერთხელ დაამტკიცეს საუკეთესო მასპინძლობა, როგორია თქვენი საფესტივალო განწყობა?

–მინდა გითხრათ, ყოველდღიური სატელეფონო კავშირი მაქვს საქველმოქმედო ფონდ „ხობის“ დამაარსებელსა და ფესტივალის ჩატარების იდეის ავტორთან და ორგანიზატორთან ბატონ გოდერძი ბუკიასთან. თამამად შემიძლია გითხრათ, ხობი მზადაა საერთაშორისო ფესტივალის „სიმღერა სამეგრელოზე“ მონაწილეთა მისაღებად. ეს არის დასტური იმისა, რომ ერთ ადამიანს (ვგულისხმობ ბატონ გოდერძი ბუკიას) როგორ შეუძლია აამღეროს არამარტო ხობელები, არამედ სამეგრელოს მოსახლეობა, მთლიანად კოლხეთი. მაგალითი იმისა, შენი შესაძლებლობები მოახმარო შენს კუთხეს, მალამოდ დაედო ჭირში მყოფთა გულებს და ლხინშიც უწინამძღვრო, მან მრავალგზის დაამტკიცა. მიხარია, რომ საშუალება მომეცა, უფრო ახლოს ვიყო მასთან, უშუალო მონაწილეობა მივიღო ფესტივალის ორგანიზებულად და მაღალ დონეზე ჩატარებაში, მთავარია ამინდმა გაამართლოს...

* * *

ბატონ გოჩასთან საუბარში ნათლად გამოჩნდა თავმდაბლობა, საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობა და უბრალოება ასერიგად რომ ამშვენებს ხელმძღვანელს, ადამიანს, მის პირად ცხოვრებას, რადგან იგი არ ნიშნავს სუსტ ნებისყოფას, უპრინციპობას, ქედმოდრეკილობას. პირიქით, თავმდაბლობა წარმოაჩენს ახალი ტიპის ხელმძღვანელს, ვისაც თვით ანალიზის უნარი აქვს, ვისაც ნამდვილად სჯერა იმ საქმისა, რომელსაც აკეთებს, ვისაც სიმტკიცე გააჩნია. მასთან საუბრისას კიდევ ერთხელ მივხვდი, რომ დადგა დრო სრული სიმართლისა და გულახდილობისა, რომელიც უკეთ ფასობს მაშინ, როცა ადამიანი მაღალ თანამდებობაზეა. სწორედ ასეთ შემთხვევასთან დავაკავშირე მასთან საუბარი და პროფესიული სიამოვნებაც მივიღე „ხვალინდელი საქმის მკეთებელი“ გამგებლის მოვალეობის შემსრულებლისაგან.

ჩანაფიქრის რეალობად ქცევის, სამსახურებრივი და პირადი ბედნიერების სურვილებით დავტოვე.

მერი ლაგვილავა

ფესტივალი–ხობის სავიზიტო ბარათი

ხობის საერთაშორისო ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“ მეექვსედ გიხმობთ ხობელებო, სრულიად საქართველოვ! გილოცავთ!

ქართველი ხალხის სულიერ საგანძურში მუსიკალურ ფოლკლორს მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი. მეგრულმა მრავლხმიანმა, უნაზესმა და უმშვენიერესმა სიმღერებმა განუმეორებელი ჟღერადობით დიდიხანია მსმენელთა გულები დაიპყრო. ამის დასტურია ხობის საერთაშორისო ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“. 2003 წლიდან დღემდე ამოუწურავია ფესტივალისადმი ინტერესი და მისი პოპულარობა დღითიდღე იზრდება, ფესტივალისადმი ინტერესი და მასში მონაწილეობის სურვილი.

ხობის საერთაშორისო ფესტივალმა დიდიხანია გული მოულბო და დანატრებულ დღეებს აზიარა ხობელები, მთელი სამეგრელო, სრულიად საქართველო, რომლის სულისჩამდგმელი, დამფუძნებელი და იდეის ავტორი საქართველოს პარლამენტის წევრი, საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის „ხობი“ პრეზიდენტი გოდერძი ბუკია გახლავთ, კაცი, რომელმაც წლების მანძილზე მრავალი სიკეთე გაუკეთა ხობელებს, გაალამაზა მათი ცხოვრება და სამომავლოდ კიდევ მრავალ, მნიშვნელოვან და სასიკეთო საქმეებს გვპირდება. მასთან ერთად ფესტივალის ორგანიზატორები არიან საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი.

შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ხობის საერთაშორისო ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“ ერთერთი გამონათება ხობელთა ცხოვრებაში. ეს ფესტივალი დროებით მაინც გვავიწყებს პრობლემებით დახუნძლულ დღეებს და მეგრული სიმღერებით გვიტკბობს სულსა და გულს. მას უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართული ფოლკლორის პოპულარიზაციისა მოვლა-პატრონობის საქმეში. დღემდე მოძიებული და ჩაწერილია 100–ზე მეტი სიმღერა, რომლებიც გაერთიანდა ოთხ სანოტო კრებულში ქართულ-ლათინური ტრანსლიტერაციით. „ქართული ხალხური სიმღერის ოსტატთა-ოთხტომეულში შეიკრიბა და გაცოცხლდა 43 საუკეთესო ლოტბარის მონოგრაფია, გამოცემულია კატალოგები, ცნობარები, კომპაქდისკები და სხვა. სპეციალურად ფესტივალისადმი შექმნილია ათეულობით ახალი სიმღერა.

ფესტივალი, რომელმაც მრავალფეროვანი ღონისძიებებით, საუცხოო გამოცემებით, მუსიკოს-შემსრულებელთა შემოქმედებითი საღამოებით, უმშვენიერესი კონცერტებით საზოგადოების სიყვარული, პატივისცემითა და მრავალი ჯილდო მოიპოვა. ის მართლაც საერთო სახალხო დღესასწაულად იქცა.

ამჟამად კვლავ დიდი ზეიმის დღეებია ხობში. უამრავი ქართველი, ინგილო, ოსი, აფხაზი მომღერალი გვესტუმრება, გვეყოლება სტუმრები მოსკოვიდან და სხვა ქვეყნებიდან, რომლებიც მეგრულად ამღერდებიან.

ხობის საერთაშორისო ფესტივალის–„სიმღერა სამეგრელოზე“ გალა კონცერტის სლოგანი „მზიურის ფესვებიდან“ გახლავთ. ეს იქნება ქართული სიმღერის ნამდვილი ზეიმი–თაობათა გადაახილი.

ჩატარებულმა ხუთმა ფესტივალმა მრავალი ახალგაზრდა მომღერალი წარმოაჩინა მჯერა, ეს ფესტივალი მრავალ პერსპექტიულ ახალგაზრდას დაულოცავს მომავლის გზას. ფესტივალის პრეზენტაცია გახდება ლეგენდარული „მზიურის“ ბენეფისი. მოეწყობა ამ დღეებისათვის სპეციალურად შექმნილი წიგნის „დაჰკარით დაფდაფებს!“ პრეზენტაცია (რედაქტორი პაატა ნაცვლიშვილი). ფესტივალის რეჟისორია სოსო ნემსაძე.

ხობის საერთაშორისო ფესტივალს „სიმღერა სამეგრელოზე“ თავიდანვე წარმატებები და ლოცვა კურთხევა დაანათლა სრულიად საქართველოს კათალიკოს–პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია-II. სასიხარულოა, რომ ის კვლავ გვესტუმრება.

ჩატარებულმა ფესტივალებმა მრავალი ქართველი, რუსი თუ უცხოელი აამღერა და აამეტყველა მეგრულად და ისეთი დიაპაზონის მქონე მომღერლებს შეგვახვედრა, რომელზედაც ოცნებითაც ვერ ვიოცნებებდით.

სიამაყით ვიგონებთ განვლილ ფესტივალებს. წელს იგი სულ სხვა ფორმატში ჩატარდება. ის ძალზე მიმზიდველი და დასამახსოვრებელი გახდება თითოეული მსმენელისათვის.

ამაღლებული სურვილებით, კოლხური სტუმარ-მასპინძლობის მადლით აღსავსენი ვეგებებით ტრადიციადქცეულ ფესტივალს. იმედია, ის კვლავ მრავალ გამოჩენილ მომღერალთან დაგვაკავშირებს, დაგვაახლოებს და დაგვამეგობრებს.

ხობის საერთაშორისო ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“ მეექვსედ გელით თავის 10 წლის იუბილეზე. ის ხობელებისთვის ნამდვილი საუკეთესო სავიზიტო ბარათია.

ხათუნა გერგაია,
ხობის მე-6 საერთაშორისო ფესტივალის დირექტორი.

ქართულ ფოლკლორზე ზრუნვით

ხობის საერთაშორისო ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“, 28-29 სექტემბერს, ისევ უხმობს ქართული ფოლკლორის პოპულარიზაციის მიზნით ხობში მის მოყვარულებს. განათლების, კულტურისა და სულიერების აღორძინების საქველმოქმედო ფონდის (პრეზიდენტი გოდერძი ბუკია) ინიციატივითა და ორგანიზებით.

ფესტივალზე წელს ძირითადად ბავშვთა კოლექტივები წარსდგებიან ხალხური სიმღერებით სამეგრელოს სხვადასხვა რაიონებიდან. ჩვენი ქვეყნის ძირძველი კუთხე–სამეგრელო ყოველთვის გამოირჩეოდა ქართულ ფოლკლორზე ზრუნვით. ჩვენი ვალია, უკეთ ვიცნობდეთ და მოვახდინოთ ლოტბარების ცხოვრებისა და მოღვაწობის, მათ მიერ შესრულებული ხალხური სიმღერების, მუსიკალური ფოლკლორის პოპულარიზაცია.

ხობის კულტურის ცენტრი აქტიურად არის ჩართული ფესტივალის მომზადებაში. მასში მონაწილეობას მიიღებს შვიდი თვითმოქმედი კოლექტივი, ექვსი ინდივიდუალური შემსრულებელი. გალა კონცერტზე იმღერებს ანსამბლი „კოლხეთი“, მოეწყობა ეთნოგრაფიული კუთხეების თვითნაკეთი ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა. ყოველდღიურად ვთანამშრომლობთ ფესტივალის ადგილობრივ დირექციასთან (დირექტორი–ხათუნა გერგაია) კულტურის ცენტრი (დირექტორი–ბეჟან ნადარაია), როგორც ყოველთვის, წლევანდელ ფესტივალზეც პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით წარსდგება.

სამომავლოდ, ანსამბლ „კოლხეთის“ ხელმძღვანელის ბატონ ნუგზარ ზარანდიას თაოსნობით კულტურის ცენტრთან შეიქმნება ბავშვთა ფოლკლორული ჯგუფები. ახალგაზრდა თაობამ უკეთ უნდა შეიყვაროს ხალხური სიმღერები და საკრავები. ისინი ხომ ჩვენი ერის საიმედო მომავალია.

ერთად გვმართებს საუკუნეგამოტარებული ეროვნული საგანძურის გაფრთხილება!

ფერიდე გოგია,
გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

საფესტივალო არქივიდან

* * *

ჯოლხეთი ქართული სახელმწიფოებრიობისა და ჯულტურის აჯვანია. ჯოლხეთთან არის დაკავშირებული ლეგენდარული მეფე აიეტისა და სასწაულმოქმედი ბალახთმჯურნალის მედეას სახელები, არგონავტებისა და ოქროს საწმისის ლეგენდა.

ერის სული ფოლჯლორში მჟღავნდება. უნიკალურია ჯოლხური ზეპირსიტყვიერება თავისი ლირიზმით, ფილოსოფიური სიბრძნითა და ხატოვნებით.

„მზე დედაა ჩემი, მთვარე-მამაჩემი
და წვრილ-წვრილი ვარსკვლავები ძმა და დაა ჩემი!

სამეგრელო-საქართველოს ეს წარმტაცი ჯუთხე-ამაყი და ნიჭიერი ადამიანების სამშობლოა, ქართველი ლამაზმანების ანუ ამორძალების ქვეყანაა.

სამეგრელო არის ქუჯი ეგრისელის სიბრძნე, გიორგი ჭყონდიდელის მწიგნობრობა, ცოტნე დადიანის რაინდობა, ჯონსტანტინე გამსახურდიას ეროვნული სულისკვეთება, იოსებ ჟორდანიას ჯაცთმოყვარეობა, გენო ადამიას, ჟიული შარტავასა და სხვა მრავალთა და მრავალთა გმირობა.

შოთა ნიშნიანიძე.
2003 წელი

* * *

მეგრულ სიმღერას როცა ვასრულებ, უდიდეს სიამოვნებას განვიცდი, როცა ვუსმენ-ვისვენებ. როგორც ჩანს, იმდენს ვმღერი, რომ „სისატურაც“ ჯი შემარქვეს.

ძალიან მიყვარს ოთარ თაქთაქიშვილის სიმღერები. ჯარგად მახსოვს მისი შექმნის ისტორიაც. ბატონ ოთარს ვთხოვე, იქნებ ჯარგი რამე მოვიფიქროთ და რატაც ფორმით ეს სიმღერები სცენაზე გავიტანოთ-მეთქი. ბატონმა ოთარმაც მშვენიერი ფორმა მოიფიქრა: ჯამერული ორჯესტრი, შვიდი ჯაცი და სოლისტი. უდიდესი წარმატება გვხვდა წილად. ამ სიმღერებით თითქმის მთელი მსოფლიო მოვიარეთ.

მახსოვს, ერთხელ იაპონიაში ვმღეროდი „ჭიჭე ტურას“. ისეთი რეაქცია იყო, თითქოს, დარბაზში მეგრელები ისხდნენ. კონცერტის შემდეგ, ბუნებრივია, ვიკითხე, ასეთი რეაქციის მიზეზი. თურმე, იაპონელები სცენის თავზე მორბენალი სტრიქონით, მეგრულიდან იაპონურზე სინქრონული თარგმანის საშუალებით სიმღერის ტექსტს კითხულობდნენ.

ფესტივალი თავის საქმეს აკეთებს. აღდგა დაკარგული მეგრული სიმღერები, ჩაიწერა დისკები, გამოიცა წიგნები. გოდერძი ბუკიამ, როგორც ამ საქმის ხელმძღვანელმა და სულისჩამდგმელმა, ჯარგ და მისაბაძ საქმეს ჩაუყარა საფუძველი, რაზეც დიდ დროსა და ენერგიას ხარჯავს, როგორც ხელოვანი და მომღერალი, ამ მამულიშვილური წამოწყებისათვის ფესტივალის ორგანიზატორების მადლიერი ვარ.

ზურაბ სოტკილავა, მომღერალი, საქართველოს სახალხო არტისტი.

* * *

დიდებული და განუმეორებელია მეგრული მელოდიები. მე ნამდვილი ტკბობა განვიცადე. მახარებდა ისიც, როცა ტრადიციებისადმი ასეთ მოწიწებას ვხედავდი.

მადლიერი ვარ გოდერძი ბუკიასი და მასთან ერთად ანზორ ერქომაიშვილის, რომ ამ პროექტში მონაწილეობა შემოგვთავაზეს. საერთოდ, ფესტივალები უდიდესი ბიძგია გაცნობა-დამეგობრებისათვის, ახალი შემოქმედებითი გეგმების დასახვისა და რეპერტუარის გამდიდრებისათვის. უდიდესი სურვილი გვაქვს, რომ ქართული ხალხური მუსიკა ხშირად ჟღერდეს რუსულ სცენაზე. დარწმუნებული ვარ, ხვალ და ზეგ საკუთარ რეპერტუარში მრავლად გვექნება ქართული მუსიკა. გვინდა, ყველამ მოისმინოს ულამაზესი მეგრული სიმღერები. მომავალში ხობი მუსიკალურ ცენტრად მესახება, სადაც არასოდეს გამოილევა მშვენიერი მეგრული მელოდიები.

ვლადისლავ ბულახოვი-მოსკოვის ჯამერული ორჯესტრის ხელმძღვანელი.

ხიდი-ფესტივალიდან ფესტივალამდე

ჩემი ფესვები—ჩემი საქართველო

როცა ყველა საფიქრალი სამშობლოდან იწყება ან ფიქრი სამშობლოზე, სიყვარულს გიასმაგებს-ყველა დაბრკოლება ძალას კარგავს, ხატმწერად გაქცევს, რომ მოხატო ტაძრები, გასწავლის სიმღერას, რომ არ გემღერებოდეს, ქართულ ფესვებში საუკუნეთა წიაღიდან შესრუტული საუნჯე –ქართველის დედოძარღვში იმდენად მძლავრია, ძარღვიც რომ გადაჭრა, გზას მაინც იპოვის, გზას მალამოდ იქცევს და ისევ აღდგება, ისევ აღორძინდება... „ხან „სამაიად“ შეიკვრება, ხან „აი იას“ ამოსძახებს...

ჩემი ფესვები... ჩემი საქართველო, როგორი ტკბილია და როგორი საოცნებოა ის, როცა მას დრო და ისტორია გაშორებს, როგორი საბრალო და მიუსაფარი გგონია თავი, როცა მას სწყდები... ამიტომ ყოველი ხმა სამშობლოდან და ყოველი ხმა მამულის ენაზე გაგონილი ფესვებსგანშორებულ ქართველთათვის ასმაგად ძვირფასია...

აუცილებლად უნდა დამეწერა მათზე, თქვენთვის მომეყოლა, თქვენთან ერთად მემოგზაურა ქართველებთან, ვინც საქართველოს ასე უვლის უჩვენოდ და ჩვენთან ერთად... ჩემი მოგზაურობა თქვენთან ერთად მინდა დავიწყო ბატონ ზურაბ ჩიქოვანის ჩანაწერით, რომელიც 2011 წელს ხობის საერთაშორისო ფესტივალის დღეებში გვისახსოვრა ხობელებს...

„ისე ცოტა მიწა გვაქვს, საყვავილედ
არ გვყოფნის,
ისე ცოტა ზეცა გვაქვს, საფრენადაც
არ გვყოფნის,
ისე ცოტა ვაზი გვაქვს, საჭაშნიკედ
არ გვყოფნის...
არა , ჩემო მიწაო, დედასავით
მართალო,
არა, ჩემო ზეცაო , რწმენასავით
მაღალო,
განა მართლა ცოტა გვაქვს, ან მიწა
და ან ზეცა,
ჩვენს მისახედ- მოსახედს-
თვალითაც ვერ აკეცავ,
უცბად, რომ გაგვივაკდეს, მთელი მთა
და მაღლობი,
ზღვარი რომ წაუშალოს დაყოფილს
და დაღობილს,
ერთ პირად რომ გვაქცია, ფხა
გვექნება ქვითკირის,
ვერ მოგდრეკენ ღმერთები, ვერ
მოგვკლავდა სიკვდილი,
ცოტა ნიჭიც რომ მოგვცა-
ერთმანეთის გატანის,
დასკდებოდა გულები ორგულის
და სატანის“

„ხვამელ ორდათ“ ჩემო ლამაზო ხობელებო, დიდი მადლიერებით

ზურაბ ჩიქოვანი
თბილისელი ოჩამჩირელი...
2011წელი

სამშობლოში მამულდაკარგულმა ხობის მონასტრის ეზოდან ხავსგადავლილი ქვა აიღო, სათუთად შეახვია და როცა ვიკითხე მიზეზი , მითხრეს: ასე აგროვებს, ქართული ეკლესია -მონასტრების ეზოდან თითო ქვა ჩააქვს თბილისში, სადაც აშენებს ახალ ილორს, აფხაზეთის დასაბრუნებელ მადლს რომ მიანიჭებს საქართველოს... მამულზე მოფიქრალს, ადგილის დედას მონატრებულს მინდა ვუთხრა, მისდარად შეიძლება ვერ ვაშენო, მისოდენი ვერ შევმატო სამშობლოს ჩემსას, მაგრამ „ჩვენს მისახედ- მოსახედს, თვალითაც რომ ვერ კკეცავთ“... ქართულ ტკივილს „დაყოფილს და დაღობილს“ ვეცდები ზღვარი წაეშალოს და ვიპოვო ის ადამიანები, ვინც ერთპირადქცეულნი–ქვიტკირად იკვრებიან სულიერ ტაძართა , ქართულ საქმეთა მოამაგედ... უკეთილშობილესი ქართველის ზურაბ ჩიქოვანის დარად, მინდა რაც შეიძლება მეტმა გვითხრას ხობელებს „ხვამელორდათ!“

ჩვენი ხობი–რამდენი რამ შეგვიძლია მასზე მოვყვეთ, რამდენი ნათელგულა ადამიანი გვეგულება ჩვენს წარსულსა და აწმყოში... ხობიდან დანახული საქართველო ძალიან ძვირფასია ჩემთვის– ტკბილმეგრულით გაჯერებული სიმღერით რომ ეხმიანება მას... აქ მოვყვები ხობის ფესტივალზე, როგორც უკვე ნამღერი და აწ სამღერი სიმღერის გზაზე.

მე ვეძებ ადამიანებს, ვისაც ხობიდან ვეტყვით „ხვამელორდათ!“

ხობიდან გურჯისტანამდე

„ძარღვიც რომ გადაგვიჭრან, თავად ვიპოვით გზას, გზას მალამოდ ვიქცევთ და ისევ ავღორძინდებით“"- ამას ისევ გავიმეორებ ამ ნაწილში, რადგან ოცდამეერთე საუკუნეში, როცა ისევ ტერიტორია დაკარგულ საქართველოში მცხოვრებთ, შემოგვრჩა საოცარი უნარი და სურვილი, წინა საუკუნეების ცოდვიან დღეებში საქართველოს მოწყვეტილ შვილთა საძიებელი და მისაფერებელი...

ერთი თვის წინ, სოციალურ ქსელში ჩემი მეგობრის ე.წ სტატუსად ვკითხულობ:

„ფერეიდანში არის სოფელი აფუსი, რომლის მცხოვრებნიც თითქმის არ ლაპარაკობენ ქართულად. რამდენიმე ხანშიშესულმაღა თუ იცის. ფერეიდნელი ზემომარტყოფელი კაცი ჰეიდარ ასლანიშვილი ასე შეეხმიანა აფუსელებს:-აფუსელნო, დედის ენის გამგუებელნო! თქვენმა ქათმებმა არ დაივიწყეს კრიახი, თქვენმა ბატებმა სისინი, თქვენმა ინდაურებმა არ დაივიწყეს ყურყური! თქვენ კი დაგვიწყებიათ-ყე დედას ენა და უცხო ენაზე მოამბენი შაქმნილხართ. სირცხვილია, ბატებმა და ინდაურებმა როგორ უნდა გაჯობონ?! / ხომ საოცარი სიტყვებია, შემოძახილია/.

და აი, ჩემი ოჯახის უახლოესი ადამიანი, საიდ მულიანი სოციალურ ქსელში აქვეყნებს ცნობას, რომ მარტყოფში და თვით ისპაჰანშიც ხსნის ქართულ სკოლას იქაური ბავშვებისათვის, რამდენიმე წლის წინ საიდს ჰქონდა ასეთი სკოლა, მაგრამ დაუხურეს. მარტყოფში უკვე ორი ჯგუფი შესდგომია მეცადინეობას, ისპაჰანშიც თავს იყრიანო მსურველნი. წარმომიდგენია, რა სიხარულია ახლა ფერეიდანში! უკანასკნელ ხანს არც ჩვენში გაჟღერებულა უფრო სასიხარულო ამბავი! რით შეგვიძლია დავეხმაროთ ამ სკოლას? მხოლოდ შექეზება და მხარზე ხელის მოთათუნება არ კმარა. მართალია, თავად საიდმა შეუქმნა გოგებაშვილის მიხედვით ფერეიდნელ ბავშვებს „დედაენა“ მაგრამ წიგნი მცირე ტირაჟით დაიბეჭდა და ვიცი, იქაურ ბავშვებს ცოტას თუ ექნება. ამიტომ მოგიწოდებთ ჩემს მეგობრებს- ვქმნი ფერეიდანის ქართული სკოლის დახმარების წიგნად ფონდს-შევუძინოთ გოგებაშვილის „დედაენა“ და გავგზავნოთ საიდ მულიანის სახელზე ფერეიდანში. ეს იქნება მხარდაჭერა და ნამდვილი სიყვარულის გამოხატულებაც.

ეს ჩემი საქართველო იძახის-დედაენა მენატრებაო, დედაენა მჭირდებაო- ჩემი რეაქცია შესაბამისია , ჩემს ფეისბუქის გვერდზე ვდებ ამ ინფორმაციას და ტელეფონით ვეხმიანები ქალბატონ თამარს...

ამ დროს კი უეცრად მომდის შეტყობინება საფრანგეთიდან , ემიგრანტი პოეტი სიმონ ხალხოსანი მწერს: ფერეიდნელ ქართველებს, როგორ გავუგზავნო საჩუქრები?

მწერს პოეტი, რომლის ერთი ლექსიდან ეს სტროფები განსაკუთრებულად მიყვარს:

„ვცხოვრობდი, სადაც მეფე ერეკლეს
ჰქონდა სასახლე და ეკლესია,
იყო მძლეთამძლე და მარეკებიც,
ეს გზაც, ეს ხმალიც ერეკლესია.
ახლა შამქორის იწვის ტყეები,
სამშობლო მშია, როგორც მშიერსო,
ვიცი და მჯერა, ამ ცის, ამ მიწის,
წიაღსა შიგან ჰგიებს იესო.
უფალო, ან სად მივეხეტები,
საქართველომდე ეს გზა შორია,
მე დავიბადე, როგორც ხეთები,
ლეგენდარული მაქვს ისტორია.
ყველა ტაძარი და ყველა სვეტი,
შევადუღაბე სისხლით და კირით,
სხვა რაღა გითხრა ამაზე მეტი,
ფერეიდანში დგახარ და ტირი,
და როგორც ხარი, ქვამარილს
ლოკავს,
რაც მინდა გითხრა, მამულო,
ვერ ვთქვა,
საქართველოზე ჯავრი თუ მომკლავს,
სამშობლო მაინც მიცოცხლოს
ღმერთმა.“

პარიზი.2013 წელი.

გამიხარდა ძლიერ და დავაკავშირე ქალბატონ თამარს..

გაზეთ „მცხეთის“ რედაქტორის თამარ თათარაშვილის გვერდზე კი ახალი სტატუსი გამოჩნდა:

„ამ რამდენიმე დღის წინ გამოვაქვეყნე პოსტი, სადაც ჩემს ფეისმეგობრებს მოგიწოდეთ, რომ ფერეიდანში გახსნილი ქართული სკოლისათვის ვაგროვებთ გოგებაშვილის „დედა ენას“, ჩემდა გასაოცრად, გამომეხმიანნენ მხოლოდ ქართველი მიგრანტები ამერიკიდან,საფრანგეთიდან, რუსეთიდან და კიდევ რამდენიმე აქაური ქართველი ბათუმიდან და ხობიდან. ჭეშმარიტი მამულიშვილური გულმხურვალებით ჩაერთო საქმეში სტუდია „გუთანის“ რედაქტორი ბატონი ზვიად სეხნიაშვილი და მისი მცდელობით უკვე გარკვეული თანხა შეგროვდა კიდეც. მანვე მოიძია გამომცემელიც ამ წიგნებისა. ველოდებით სხვა მსურველებსაც“.

და მოჰყვა ამ ისტორიას ლამაზი გაგრძელება... ფერეიდნელ ბავშვებს ეკრძალებათ სახალხოდ სიმღერა, მაგრამ ვაჟებს ეს შეუძლიათ, თუმცა მათ მხოლოდ ერთხმიანი სიმღერები აქვთ, საჭიროა, სამხმიანი სიმღერების შესწავლა... მოგვიანებით ამასაც შევძლებთ, როცა უკვე მოვმძლავრდებით და საჭირო კონტაქტებს დავამყარებთ.. წელს კი ...ამ გაზეთის ნომერთან ერთად... ფესტივალის მასალებს საჩუქრად გადავუგზავნით, ქართული ფესვებისამეგრელოდან შეეხმიანება მათ .

ეს უკვე უკრაინაა..

უკრაინა, სადაც „ქართლის ჭირით“ განდევნილი და „ქართლის ჭირზე“ მართლად მოუბარი დავით გურამიშვილის საფლავი გვეგულება ქართველებს... მაგრამ ახლა, საბედნიეროდ, „აღმა ხნულის დაბლა ფარცხვაზე“ არ მიწევს საუბარი ახლა... მხოლოდ „ დავითიანიდან“ ხმიანებს ჩემს გონებაში ერთი დაუვიწყარი სტროფი ;

„ნერგად მას ვსახავ, იგ რაც ხე
ისახა იესისითა,
ვიცა გამოსცა ნაყოფი თვისთა
ნათქვამთა, ხესა ვითა,
შურდულ ქვით სძლია მებრძოლთა
დამბადებელთა ესვითა,
შტო- მორჩად ქართველთ უფალთა,
ვინც მასზე ბმულ ჩანს ფესვითა“...

„აი-იადან“ „სამაიამდე” მივყავარ გზას - ჩემი ოდაბადის „ოდოიადან“ დაწყებულს.

ალბათ, მრავალმა თქვენგანმა უყურა გადაცემას „იმედის გმირები“, სადაც გიორგი შარაშია გვიყვება უკრაინაში მოღვაწე ქართველი ექიმის ბესიკ შამუგიას შესახებ, რომელიც საქართველოდან ჩასულ ქართველებს უფასოდ ემსახურება... ექიმი და ქველმოქმედი, რომელმაც დააფუძნა ქართული სკოლა უკრაინაში და მრავალ სასიკეთო იდეას შეასხა ხორცი. ჩვენი კუთხის შვილია. ჩვენ დავმეგობრდით... და მე მას ვეკითხები ჩემი თაობისათვის ნაცნობ და საყვარელ ხობელ გოგონაზე, ახლა უკვე უკრაინის კულტურის დამსახურებულ მოღვაწეზე მაკა ლომსაძეზე, ის კი საოცარი სითბოთი მპასუხობს:

მაკა ძალიან დიდ საქმეს აკეთებს ჩვენი ახალგაზრდებისათვის, ქართული კულტურის განვითარებისათვის უცხო ქვეყანაში და ეს ყველაფერი ნათლადაა ასახული ქართულ-უკრაინული ურთიერთობის განვითარებაშიც. რა თქმა უნდა, ძალიან კარგი იქნება ხობის ფესტივალზე მონაწილეობა, მომავალში ეს გამოვა. დიდი მადლობა კიდევ ერთხელ!

ახლა კი ქართულ -უკრაინული საგანმანათლებლო ცენტრის ოფიციალურ ინფორმაციას გაგაცნობთ:

ქართული ქორეოგრაფიის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის უცხო ქვეყანაში პოპულარიზაციის და დამკვიდრების მიზნით 2001 წელს ქართული კულტურულ—საგანმანათლებლო ცენტრის ბაზაზე ქალაქ კიევში ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი—„იბერიელი“ ჩამოყალიბდა. წლების მანძილზე ანსამბლმა სამხატვრო ხელმძღვანელის ქალბატონი მაკა ლომსაძის დაუღალავი შრომისა და ენთუზიაზმის შედეგად, მალე მოიპოვა პოპულარობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ანსამბლის ხელმძღვანელს მაკა ლომსაძეს 2011 წლის დეკემბერში, უკრაინის პრეზიდენტის ბრძანებით უკრაინის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება, ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლ „იბერიელს“ კი 2012 წლის ბოლოს უკრაინის „სახალხო“ ანსამბლის წოდება მიენიჭათ. ანსამბლი, რომელიც 26 წევრისგან შედგება, სისტემატიურად განაგრძობს მუშაობას ძველი ეროვნული ცეკვების მოძიებაზე და თანამედროვე ქორეოგრაფიული ფორმებით

7

ხიდი-ფესტივალიდან ფესტივალამდე

6

მიტანას მაყურებლამდე. „იბერიელი“ ასევე მონაწილეობს უკრაინის სამთავრობო ღონისძიებებში, მათი მონაწილეობით გადაღებულია 3 დოკუმენტური ფილმი.

ინტერვიუ, რომელიც მაკასთან ჩავწერე, იმითაა გამორჩეული, რომ ჩვენის სატელეფონი საუბრის შემდგომ სოციალური ქსელის პირადი შეტყობინების რეჟიმში გავაგრძელეთ.

„მაკა, კარგია, წლების მერე, ბავშვობის ტკბილი მოგონებებიდან, „დიდობის“ თბილი ურთიერთობებიდან–უკვე რესპოდენტის ამპლუაში რომ ხარ... ყველა შენი წარმატებული ნაბიჯი უკრაინაში უზუსტესად ვიცი... და სიხარულით გეზმიანებოდი შორიდან, ახლა კი სასურველ სტუმრად გეძახი შენს ხობში.

მინდა იგრძნო,რომ არ ავიწყდებით, დარწმუნებული ვარ, ამ ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ უამრავი ხობელი შეგეხმიანება სიყვარულით და სიხარულით...

–მადლობა როზეტა,

მართალი გითხრა, არასოდეს მქონია ამბიცია, მომეყოლა საკუთარ თავზე, მაგრამ როცა ეს შენ შემომთავაზე და ხობთან დაკავშირებით მომავლის ძალიან საინტერესო პროექტზე მესაუბრე, ვაღიარებ, რომ გამიხარდა. ჩვენ კარგად ვიცნობთ ერთმანეთს და ხობის სიყვარულიც ბავშვობიდან მოგვდგამს..

მივესალმები ჩემს საყვარელ ქალაქს, ჩემს მასწავლებლებს, ხობის ქორეოგრაფიული ანსამბლის ხელმძღვანელებს ზურაბ იაშვილს, თენგო ჩიტაიას, ყველა იმ მოცეკვავეს, ვინც ჩემთან ერთად ეზიარა სცენის სიყვარულს და ახალ თაობას, ხობის თეატრის სცენაზე მდგართ ვუსურვო წარმატება! უთბილესად ვიგონებ ქალბატონ მედეა ნაჭყებიას და საოცარ ადამიანს გოგი მირცხულავას, ...ხობის კულტურის სახლის „ხობის თეატრის“ სცენასმონატრებული ვეფერები ყველას! ჩემი ყველა წარმატება ხობიდან დაიწყო და განსაკუთრებით მეძვირფასესება ის.“

მივესალმები ხობის საერთაშორისო ფესტივალის მონაწილეებს, ფესტივალის სტუმრებს... წარმოდგენილი მაქვს, როგორი ლამაზი დღეები იქნება ხობში. მე მას მუდმივად ვადევნებ თვალყურს და მახარებს მისი პოპულარობა...

როცა მითხარი, ხომ არ იფიქრებდი მონაწილეობა მიეღო ანსამბლ „იბერიელს“ საფესტივალო პროგრამაში, ასევე გამიხარდა, მაგრამ წელს სექტემბრის ბოლოს სამწუხაროდ, ანსამბლი ვერ ახერხებს მის ორგანიზებას, დროის სიმცირისა და რამდენიმე უკვე შეთანხმებული ღონისძიების გამო, მაგრამ მომავალ ფესტივალზე, ჩვენ აუცილებლად წარვდგებით ჩვენი პროგრამით და ექსკლუზიურად ფესტივალისათვის ჩემი უბადლო მოცეკვავეები ცეკვის შემდგომ იმღერებენ მეგრულ ხალხურ სიმღერებს.. ამაზე უკვე დავიწყებთ მუშაობას...“

როგორ შეიქმნა „იბერიელნი“ ანუ შენი გზა ანსამბლის შექმნამდე ...

–წლების წინ, როცა მე და ჩემი მეუღლე ლევან მიქაძე ჩამოვედით უკრაინაში, მე ფაქტიურად მისი სპორტული მიღწევებით და შვილების აღზრდით ვიყავი დაკავებული. ჩემი პროფესიით ცოტა არ იყოს ძნელი იყო სამსახური მეშოვა, რადგან მოგეხსენებათ ასწავლო ბიოლოგია უკრაინულ ენაზე, ნიშნავს, რომ განათლება უკრინულად უნდა გქონდეს მიღებული... ქართულ დიასპორასთან ურთიერთობისას, რომ დავაკვირდი საერთო სიტუაციას გამიჩნდა სურვილი ქართველი ბავშვები დაუფლებოდნენ ქართულ ცეკვას... რადგან ქართული ცეკვა ის ფენომენია, რასაც ერთხელ თუ ეზიარე, ვერასოდეს დაივიწყებ და სამშობლოს ყოველთვის მოგანატრებს. ამ დროს დამიკავშირდა ბატონი ბესიკ შამუგია, რომელზეც უამრავი რამ შემიძლია ვთქვა და შემომთავაზა, შემექმნა ანსამბლი... ეს იყო უბედნიერესი დღე ჩემს ცხოვრებაში... მას მერე წარმატებებით მოვდივართ.

როგორ მიგიღოთ უკრაინელმა მაყურებელმა ?

–უკრაინელებისათვის ქართული კულტურა –ნიჭიერების სიმბოლოა დაა ქცეული. ჩვენი პირველი კონცერტები კიევში სრული ანშლაგით გავიდა. ასეთივე თბილ დამოკიდებულებას და მხარდაჭერას ვგრძნობთ, როცა გავდივართ სხვადასხვა ქალაქებში, ფესტივალებზე.... მე გადმოგიგზავნი ფოტო-მასალას, რომლითაც ამას იგრძნობ... „იბერიელმა“ არაერთი საქალაქო, რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალში მიიღო მონაწილეობა და საკუთარ შემოქმედებით არქივს არაერთი ჯილდო თუ პრიზი შეჰმატა. მათ შორის ეროვნული შემოქმედების ფესტივალი „მშვიდობა კავკასიას“ (2003 წ.), ეროვნულ უმცირესობათა კულტურის ფესტივალი (2004 წ.), მსოფლიოს ხალხთა ცეკვის ფესტივალი (2006 წ.) საერთაშორისო ეთნოფესტივალი (კიევი, 2007 წ), პირველი ეროვნული კულტურის ფესტივალი „სუცვიტია“ (2008 წ.), საერთაშორისო ეროვნული კულტურის ფესტივალი „ფოლკლორამა“ (2008 წ.), ხალხური ცეკვის საერთაშორისო ფესტივალი „მისტერია ტანცა“ (2009 წ.), ცეკვისა და სიმღერის საერთაშორისო ფესტივალი (2010 წ.), „არტ ფესტივალი“„ (2011-2012 წწ.), ხალხური ცეკვების საერთაშორისო ფესტივალი (2012 წ.) „მი ვსე დეტი უკრაინი“ (2011-2012 წწ.) და სხვა რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

როგორია ანსამბლის რეპერტუარი ?

–„იბერიელის“ რეპერტუარი მთლიანად მოიცავს საქართველოს რეგიონების ქორეოგრაფიულ ფოლკლორს:„ლაზური“, „ფარცა“, „დავლური“, „ქართული“, „აჭარული“, „სამაია“, „ქალთა ხორუმი“, „ნარნარი“,„რაჭული“, „ხევსურული“, „ძველი თბილისი“, „სიმდი“, „ილოური“, „მთიულური“, „ყაზბეგური“ ანსამბლის რეპერტუარშია განახლებული ქართულ ცეკვები „შეხვედრამთაში“, „სამანი“, „კავკასიური“, რომლებიც ქორეოგრაფიულად გადავამუშავე და ახალი ელემენტების გამოყენებით დავდგით ახლა კი ჩვენი ერთობლივი იდეით სერიოზულად ვიფიქრებ მეგრული ფოლკლორიდან ავირჩიო სიმღერა და დავდგა ახალი ცეკვა...

მაკა, სხვა რა სახის შესაძლებლობა უკრაინაში, რომ ქართველი ბავშვები არ მოსწყდნენ საკუთარ ფესვებს ?

–კიევის ქართულ კულტურულ საგანმანათლებლო ცენტრში არის შესაძლებლობა ეზიარონ ქართულ სიმღერასა და საკრავების მრავალსაუკუნოვან ენას. აქ ხალხურ ინსტრუმენტებზე, ასევე გიტარაზე დაკვრას ასწავლიან ახალგაზრდა ქართველი ხელოვანები გიორგი ჩიტაური და ლადო დოღვანი.

მოქმედებს საგანმანათლებლო პროექტები: „ განათლება უკრაინაში“, ასევე წელს შეიქმნა პირველი ქართული ბიბლიოთეკა, რაც საგანმანათლებლო ცენტრისა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ერთობლივი პროექტია, აქ 3000 წიგნამდეა თავმოყრილი და ქართული საკვირაო სკოლის ბავშვებს და ქართულ წიგნებს მონატრებულ ემიგრანტებს საშუალება ექნება იკითხონ სხვადასხვა ნაწარმოებები. ქართულ- უკრაინულ ენაზე გამოდის ჟურნალი „საქართველო“.



ქართველები უკრაინაში ვცდილობთ ჩვენს ქართულ ფესვებთან ძალიან ახლოს ვიყოთ...

ძალიან ხშირად გავდივართ გურამიშვილის საფლავთან,24 სექტემბერს 18.00 ზე 27 -ში 15..00 საათზე, ხოლო 29 სექტემბერს 11.00 საათზე უკრაინულ არხ „**KDRTRK**“ ეთერში გავა დოკუმენტური ფილმი, რომელიც დავით გურამიშვილის დაბადების 220 წლისადმი ხსოვნას ეძღვნება. ამ იდეის და სცენარის ავტორი გახლავთ ჟურნალისტი გალინა უსენკო–გადაი.

ვისაც აქვს შესაძლებლობა ინტერნეტსაშუალებით უყუროს მას, უდიდეს სიამოვნებას მიიღებს და იგრძნობს, როგორ უყვართ გურამიშვილი და საქართველო უკრაინაში.

ჩვენ მერე ვაგრძელებთ საუბარს ინტერვიუს ფორმატს გარეშე... ბევრჯერ ვაკრიტიკებ ზედმეტ ტექნიკურ განვითარებას კაცობრიობისას, ამ შემთხვევაში კი ვემადლიერები დროებით ვემშვიდობებით ერთმანეთს... ჩემს გულშიც ხმიანებს- „ხვამელ ორდათ“

„ხვამელორდათ“

„ხვამელ ორდათ“ აქ, ილორს მონატრებულო ქართველებო,

„დალოცვილი ყოფილიყავით- იქ შორეულ ფერეიდანში - დედაენაგადაშლილო ქართველო ბავშვებო და მათზე მოამაგენო!

„ვაჰ, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაწვალებ, რა ზნე გჭირსა” არასოდეს არ გეთქვათ სამშობლოდან წასულო ქართველებო..:. თქვენგან წაკითხული დედაენა, თქვენი ნამღერი ნანა, თქვენი აშენებული ტაძარი, თქვენი ქართველური შემოძახილი ,თქვენი ნარნარი „სამაია“ და „ქართული“ იცოდეთ აქ დაბრუნებაა, ლამაზი დაბრუნება..

ფესვები... საქართველო... როგორი ტკბილია და როგორი საოცნებოა ის, როცა მას დრო და ისტორია გაშორებს, როგორი საბრალო და მიუსაფარი გგონია თავი, როცა მას სწყდები... ამიტომ ყოველი ხმა სამშობლოდან და ყოველი ხმა მამულის ენაზე გაგონილი ფესვებსგანშორებულ ქართველთათვის ასმაგად ძვირფასია. იქიდან გაგონილი კი ჩვენთვის, მათ მოლოდინეთათვის... ახლა, ამ დღეებში, როცა ფესტივალის მოლოდინში მომავალ ფესტივალს ელოდება ხობი, უკვე მომავალ ფესტივალზე ვფიქრობ, რომ საქართველოს მონატრებულ ქართველობას გაუღოს გული და სიმღერის ხიდად ექცეს მათ, კოლხური ფესვებიდან შემოსძახოს სამშობლოს... გელოდები–ეს შენი საქართველოა, შენი ფესვები!

მინდოდა საქართველოდან, ხობიდან მეთქვა „ხვამელორდათ“, როგორც შევძელი, ისე გითხარით ეს ლოცვა და მადლობა. მომავალ ფესტივალამდე!

როზეტა შულაია

ხობი. 2013 წლის სექტემბერი.

ჩემი ფესვები–ჩემი საქართველო

გვიყვარდეს სიმღერა და გვემღერებოდეს!

ჩემო მშობელო ხალხო, მეგობრებო, მეზობლებო, სტუმრებო!

გილოცავთ დღევანდელ დღეს, მეგრული სიმღერის დღესასწაულს, 10 წლის წინ, პირველად სამეგრელოს ისტორიაში, ერთმა ნიჭიერმა და ქვეყნისმოყვარულმა კაცმა, ბატონმა გოდერძი ბუკიამ, სათავე დაუდო ამ უნიკალურ, აწ უკვე ტრადიციადქცეულ მოვლენას–მეგრული სიმღერის საერთაშორისო ფესტივალს–„სიმღერა სამეგრელოზე.“

მეგრული სიმღერა, მისი ტკბილი და საოცრად თბილი მელოდიურობა დიდი ხანია ხიბლავს მუსიკისმოყვარულ საზოგადოებას მთელ მსოფლიოში.

...ეს იყო მე-20 საუკუნის ოთხმოციანი წლები. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალთა საზოგადოების მიწვევით ქალაქ დრეზდენში ვახლდი საქართველოს დელეგაციას. ლეგენდადქცეულ ცვიგერში ექსპონანტთა დათვალიერების შემდეგ ნახულით აღტაცებულ ჩვენს ჯგუფს ახალი, საოცარი განცდა ელოდა. დარბაზიდან გამოსასვლელი კიბის მოედანზე თავი მოეყარა რამდენიმე ახალგაზრდას და ქართულ სიმღერას, საქვეყნოდ ცნობილ „სულიკოს“ კი არა, „შავლეგოს“ მღეროდა იაპონელ ტურისტთა ჯგუფი. მათ გაეგოთ, რომ დარბაზში ქართული დელაგაციის წევრები იმყოფებოდნენ და ასეთი სასიამოვნო მოულოდნელობით გაგვახარეს.

დიახ, ასეთია ქართული, კერძოდ, მეგრული სიმღერის სივრცის არეალი.

ძირძველო, თბილო, საამო ნანავ,
დღეგრძელი იყავ ხალხო ლამაზო.
გემღერებოდეს ჩემო ქვე ყანავ!
მრავალჟამიერ, მეგრულო ჰანგო!

მერი აბრამია.

„დიდ რაინდთა მხარე“–კოლხეთი

ხობში და ხობელებისთვის ფესტივალისთვის მზადება მისი დამთავრებისთანავე იწყება. გამომშვიდობება ფესტივალის მონაწილეებთან, ისევ მათთან შეხვედრის მოლოდინითაა სავსე. ზეიმის დაწყება თუ სიხარულისა და უჩვეულო განცდების დასაწყისია, მისი დამთავრება ხშირად ცრემლთან და სევდიან სახეებთანაა დაკავშირებული. ფესტივალი ხობში ასოცირდება

სიახლესთან, სტუმარ-მასპინძლობის კოლხურ ტრადიციებთან, მეგრულ სიმღერასთან, უამრავ გამოჩენილ ადამიანებთან შეხვედრად...

ფესტივალის დღეების განმავლობაში ხობი ნამდვილად „ღიმილისა და სიყვარულის ქალაქად“ იქცევა ხოლმე. ალბათ განგებამ ჩააგონა ამ ფესტივალის შემქმნელს, რომ სწორედ ხობში, კოლხეთის შუაგულში ყოფილიყო მეგრული ფოლკლორის ზეიმი, რადგან სწორედ კოლხის მიერ ითქვა სიტყვები, რომელიც დღესაც ჭეშმარიტ ქართველობას და ერთიანობის მნიშვნელობას გვასწავლის: „და უკეთუ მოგვცა ძლევა, შენ იქნები უფალი ჩვენი და მე ვიქნები მონა შენი“–ქუჯი ეგრისელის ეს აზროვნება, რომელიც 2300 წლის წინათ იქნა გადმოცემული, კარგად ასახავს აქაურთა უდიდეს სიქველეს, სიკეთეს და მომავლის სწორი განჭვრეტის მაგალითს. მას მოჰყვებიან მამულიშვილები ცოტნე დადიანი და დღევანდელობა–ჟიული შარტავა.

როგორც მთლიანად საქართველოში, ისტორიაც ეგრისელთა მხარეში სიმღერასთან ერთად იწერებოდა, სწორედ ამ ნიმუშებში ჩანს ყველაზე მეტად კოლხთა ნიჭიერება, მელოდიურობა, აზროვნება. მეგრულ ფოლკლორში უაღრესად კარგადაა გადმოცემული წუთისოფლის ყველა დამახასიათებელი ნიშანი.

ამიტომაც, ხობის ფესტივალზე მოსული სტუმრები ასრულებენ მეგრულ სიმღერებს სევდიან წუთისოფელზე, სამშობლოზე, სიყვარულზე, სოციალურ და კლასობრივ უსამართლობებზე, ყოფა-ცხოვრებაზე, მღერიან ისინი სატირულ-იუმორული ჟანრის ნიმუშებს.

და ხობიც მღერის მათთან ერთად. ალბათ ყველა ხობელს უყვარს ამღერებული ხობი, როცა შენს საკუთარს, შენში ჩადუღაბებულ და შესისხლხორცებულს, შენი ჯიში და გენი მღერის, მაგრამ ეს გრძნობა ასკეცდება, როცა შენს სიმღერებს მღერის სხვა ჯურის ხალხი–იაპონელი, კანადელი, ჰოლანდიელი, რუსი, უკრაინელი, აზერბაიჯანელი და სხვები და სხვები.

როცა ერთად შეკრულ მეგრულ სიმღერებს უსმენ (რომელიც ფესტივალზე ხდება) შორეულ წარსულში გადადიხარ, როდესაც „ოჩოკოჩების“ და „ტყაშმაფების“ საოცარ ამბებს გადმოგვცემენ, როცა შენი დედ-მამა „ბჟა დო თუთა რე“ (მზე და მთვარეა), როცა შენი ულამაზესი ჭაბუკები და ამორძალები გასაყიდად გაჰყავდათ, როცა განსაცდელის ჟამს „უტუს ლაშქრულით“ გამხნევებდნენ.

...დღესაც იწერება ისტორია საქართველოს ერთ-ერთ მშვენიერ კუთხეზე სამეგრელოზე, მის პატარა ქალაქ ხობზე, ამ ისტორიას წერენ ჩვენი სასიქადულო მამულიშვილები ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან, მომღერლები, რეჟისორები, მსახიობები, შემოქმედები–ანუ ყველანი ერთად, და მართლაც ამ დღეებს სამართლიანად ეწოდა „მითში გახვეული კოლხეთი“.

მანანა შულაია.

საფესტივალო არქივიდან

ფესტივალთან მაკავშირებს ჯეთილი ნება, სურვილი იმის მხარდაჭერისა, რასაც აკეთებს ბატონი გოდერძი ბუკია, ეს არის სულიერი სამყაროს წინ წამოწევის, ამაღლების, ხალხის მხარში დგომის ეფექტური გზა, რომელიც ფაქტიურად სულიერი საკვების მუხტს ატარებს და სტიმულს აძლევს დღევანდელ პირობებში უკეთესობისაკენ ფიქრსა და განწყობას, ეხმარება გაახსენოს რა ტრადიციის, რა ყოფის მატარებელია სამეგრელო. ფესტივალს ჰქვია „სიმღერა სამეგრელოზე“. სამეგრელო თავად სიმღერაა, „სიმღერა სამეგრელოზე“ აერთიანებს უზარმაზარ შესაძლებლობებს და ეს უკვე პატივსაცემი მომენტია. ბატონი გოდერძი შემეხმიანა და მთხოვა, მხარი დამეჭირა ფესტივალის ვიზუალური მხარის დასამშვენებლად. ვიფიქრეთ სიმბოლიკაზე, პლაკატზე, ინფორმაციებზე, და საერთოდ, ნაბეჭდ მასალაზე, ვიზუალურ მხარეზე, რათა იგი საინტერესო იყოს ჯერ სრულიად საქართველოსათვის და შემდეგ სტუმრებისთვის. ეს ძალზე მნიშვნელოვანი და ჩვენთვის სასარგებლო შემთხვევაა, როდესაც ჩვენ შესაძლებლობა გვექნება ვილაპარაკოთ ჩვენს კულტურაზე, მის ტრადიციებზე, შესაძლებლობებზე, რა თქმა უნდა, ეს დასაფასებელია და ჩემთვის ძალიან ძვირფასი, თუკი ადამიანს აქვს ეროვნული ეთნოსის გამოხატულების სურვილი კულტურული მემკვიდრეობის მთელი მნიშვნელობით წარმოჩენისათვის, თავისთავად ცხადია, აქ მხარდაჭერა იქნება და უნდა ჩაება აქტიურად.

მიმაჩნია, რომ მაინც მეტი მონდომება და თავდადება უნდა გამოვიჩინოთ, რადგან ტრადიციის დამკვიდრება საჭირო, საძირკველი, სასაფუძვლო აგურები მყარი უნდა იყოს. ეს რთული ამოცანაა, მაგრამ ღირსეული და საპატიო. აქ მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა რაიონები, მხარეები, ანსამბლები, ორკესტრები, უცხოელები, რეზონანსი ფართოვდება, რაც უფრო დიდ მასშტაბებს მიაღწევს და რაც უფრო მიხვდებიან კოლხეთის კულტურის ღირსებას, უფრო ბედნიერად უნდა ვიგრძნოთ თავი. ჩვენი ამოცანაც ეგაა.

ემირ ბურჯანაძე,
მხატვარი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ფესტივალის სიმბოლიკის ავტორი.

* * *

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გოდერძი მუკიას თავდადება და უანგარო ღვაწლი. იგი ჭეშმარიტი მამულიშვილია. მაცოცხლებელ გოდერძიმ ხობის ფესტივალს მაშინ ჩაუყარა საფუძველი, რომელიც საქართველოს უკიდურესად უჭირდა და სულიერ გადარჩენაზე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე ცოცხა თუ ფიქრობდა და კიდევ უფრო ცოცხა საქმეს აკეთებდა. მის მიერ დაარსებულმა საქველმოქმედო ფონდმა ყველა ძალა ერთად შეკრიბა და დაიბადა ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“.

ამ ადამიანმა შეძლო ერთვნული სულისკვეთების აღზევება, აი, ამას ჰქვია ერისკაცობა და სახელმწიფო საზრუნავის საკუთარ საზრუნავად ქცევა. მან შეძლო ამ დიდი საქმის მასშტაბურად წარმოჩენა, რასაც უშურველი ქველმოქმედება და მაცერიალური ხელშეწყობა დაამგზავრა.

ანზორ ერქომაიშვილი,
ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელი.

* * *

მუდამ უნდა გვახსოვდეს ჩვენი ხალხური სიმღერა, ჩვენი სიმდიდრე, რაც გვაქვს და რამაც დღემდე მოაღწია—უნდა გავუფრთხილდეთ და კიდევ უფრო შორს გავიტანოთ, გავაცნოთ სხვებსაც. ჩვენი მომავალი თაობა, დღევანდელი ახალგაზრდები ამ ტრადიციებზე უნდა გაიზარდონ, და ისეთივე დიდი ადამიანები გახდნენ, როგორიც ზურაბ სოტკილავა და სხვები არიან, ამას კი საკუთარი ისტორიის ცოდნა, მეხრე სწავლა, ქვეყნისა და ერისადმი უდიდესი სიყვარული სჭირდება.

სასურველია, ასეთი ფესტივალები საქართველოს ყველა კუთხეში ჩატარდეს, რათა ახალგაზრდობამ უკეთ გაიცნოს თავისი ღირსეული წინაპრები, ისწავლოს მათგან და შემდეგში მათი გზა გააგრძელოს.

მაყვალა ქასრაშვილი,
მოსკოვის ოპერისა და მალეტის დიდი თეატრის სოლისტი.

* * *



უმთავრესი ნიშნები, რითაც ხობის მუსიკალურ ფესტივალს შევათასებდი, გახლავთ გემოვნების მაღალი სტანდარტი და მისი სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის, მაცოცხლებელ გოდერძი მუკიას გასაოცარი ერთგულება და თითქმის ფანატიკური სიყვარული ფოლკლორისადმი, სხვაგვარად შეუძლებელიც მგონია, ხელი მოჰკიდო ასეთ უმნიშვნელოვანეს და უაღრესად საპასუხისმგებლო საქმეს—ფოლკლორული ფესტივალის ჩატარებას სამეგრელოში, მიწაზე, სადაც თვით უმდიდრეს ქართულ ფოლკლორშიც კი გამორჩეული ფასეულობის ნიმუშები შეიქმნა. თანაც ქანრობრივად ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული, იქნება ეს ლირიკული „ჩიღა“, ეგრეთ წოდებული შრომის სიმღერა „ოდოია“ თუ კომიკური „ჯანსულო“. ამიტომაც სამეგრელოზე სიმღერის დაწერაც განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებს.

ვაჟა აზარაშვილი,
კომპოზიტორი.

დიდებული 2003-2013 წლები

ჩვენი სულისკვეთებით, ეროვნული ხასიათით და ბუნებით ქართველები სიმღერის ხალხი ვართ, გაგვაჩნია უნიკალური უნარი–სიმღერის გენიალობასთან წილნაყარი, სისადავით ჩაწნული პოლიფონიურობა. სასიმღერო ჟანრის ეს ურთულესი ფორმა ანდამატივით მიმზიდველია თითოეული ქართველისათვის, ამავდროულად გადამდები სხვათათვის. აი, ამიტომაც საინტერესოა „ჩაკრულო“-ს, „ოდოია“-ს, „ხასანბეგურა“-ს სამშობლოში ეროვნული სასიმღერო ფოლკლორის ფესტივალის დაფუძნება.

სამეგრელოს რეგიონში, კოლხეთის შუაგულში რაიონის მაჟორიტარი დეპუტატისა და მეცენატის ბატონი გოდერძი ბუკიას ენთუზიაზმითა და ძალისხმევით 2003 წლიდან ქართული ფოლკლორის ხობის საერთაშორისო ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“ მყარად დადგა ფეხზე

და ტრადიციული სტატუსი დაიმკვიდრა. ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ქალაქი ხობი იქცევა ხოლმე ხალხური სიმღერის სამრეკლოდ, დედოზარი მოუხმობს ყველას–დიდსა თუ პატარას სიყვარულის გასაზიარებლად, ერთურთის მოსაფერებლად მრავალხმიანი სიმღერის დარად.

ჩვენს სინამდვილეში სიმღერას მუზეუმის სახით, ბატონმა გოდერძი ბუკიამ ძეგლი დაუდგა. 2007 წლის ივნისს დაარსდა ძუკუ ლოლუას სახელობის ქართული-ხალხური სიმღერის მუზეუმი „სამეგრელო“, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება. ის ხელს უწყობს ქართული ხალხური სიმღერის პოპულარიზაციას, მის ჩაწერა-აღდგენის საქმეს, სამეცნიერო კვლევებს. აქ გამოფენილია ქართული სიმღერის დიდოსტატთა ფოტოსურათები დატვირთული და გაჯერებული საინტერესო ბიოგრაფიული თუ შემოქმედებითი ინფორმაციით. მათი გვარ-სახელებია მეგრული ხალხური სიმღერის პატრიარქის ძუკუ ლოლუა და მისი მოსწავლეები: კიწი გეგეჭკორი, ემა შელეგია, ნოკო ხურცია, ანრი ალანია, ლუდუკი ჯგერენაია, ლუდუკი ჩაჩიბაია, რადიკო ალანია, ალიოშა ბერაია, ვახტანგ ჯორჯიკია, ვაჟა აბაკელია, ასტამურ მარღანია და სხვები. საფესტივალო გამოცემები, მეგრული სიმღერის კრებულები, ქართული-ხალხური სიმღერის კატალოგი, ქართული ჩანაწერები უცხოეთში 1901-1950 წწ. ცნობარი - საქართველოს მუსიკის მოამაგენი, კომპაქტ-დისკები, აქვე დავანებულია ნოკო ხურციას ყაბალახი, ანრი ალანიასა და ვახტანგ ჯორჯიკიას, ჩონგურები, პირადი წერილები თუ ნივთები. XVIII საუკუნის საფრანგეთში ვარდის ხისაგან დამზადებული კლავისინი, რომელიც მუზეუმს საჩუქრად გადმოეცა ჩიქოვანების ოჯახიდან. ხობს მრავალი საპატიო სტუმარი სტუმრობს, თუნდაც ის რად ღირს, რომ მუზეუმს საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II, ხობისა და ფოთის მიტროპოლიტი გრიგოლი, სახელგანთქმული საოპერო მომღერლები: ზურაბ სოტკილავა, ელენე აბრაზცოვა, მაყვალა ქასრაშვილი, მეგრული სიმღერის უხუცესი, ლოტბარ-შემსრულებელი პოლიკარპე ხუბულავა და მრავალი სხვა საინტერესო ბიოგრაფიის მქონე პირები სტუმრობდნენ. ფესტივალზე ჩამოდიან ფოლკლორული კოლექტივები საქართველოს ყველა რეგიონიდან, ასევე საგანგებოდ შერჩეული შემსრულებლები არა მხოლოდ თბილისიდან, არამედ უცხოეთიდან: კანადიდან, ნორვეგიიდან, ამერიკიდან, რუსეთიდან, სომხეთიდან. ხობი მასპინძლობდა ზურაბ სოტკილავას საიუბილეო საღამო-კონცერტს, ალექსანდრე ბასილაიას ბენეფისს, „გორდელა“-ს იუბილეს, გიორგი მთაწმინდელის 1000 წლის იუბილეს.

ხელოვნების სერიოზული მესვეურებისა და სტუმართა მონაწილეობამ დიდი რეზონანსი ჰპოვა. საფესტივალოდ გამოცემულმა მუსიკალურმა გამოცემებმა და ლიტერატურამ ბინა დაიდო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ბიბლიოთეკებში და მას მრავალი მიმდევარი გამოუჩნდა. მეგრულ ენაზე ამღერდა კოლექტივები, რომლებიც საფესტივალო მექაქალაქის სტუმრები და მონაწილენი ხდებიან.

წლევანდელი ფესტივალი ბავშვებს ეთმობა და მათი სასიმღერო ხმები იქნება გვირგვინი საფესტივალო მარათონისა. რამეთუ, ანსამბლ „მზიურის“ ხმები დღესაც ჩაგვესმის და მაშინდელი შეფასება იყო–„უჩვენეთ ეს ბავშვები მსოფლიოს და ომი არ იქნება.“

ძვირფასო ხობელებო, მეგობრებო და სტუმრებო, თითოეულ თქვენთაგანს გულწრფელად ვულოცავ 2003-2013 წწ. მონაპოვარს, ხობის საერთაშორისო ფესტივალს, რომელმაც იტვირთა ჩვენი წინაპრების ნიჭიერების ფესვმაგარი ხალხური სიმღერის ენერგიით მასების შედუღაბება, რამეთუ ამ საოცარ ფენომენს შეუძლია ფასდაუდებელი სამსახური გაუწიოს მომავალ თაობებს და დადოს ხიდი კულტურებს შორის უკუნითი უკუნისამდე.

ნანა ჯალალონია,
„ძუკუ ლოლუას სახელობის ქართული ხალხური სიმღერის მუზეუმის (სამეგრელო)“-ს დირექტორი.

ფესტივალის აღმოჩენა

ნინო გოთოშიას ჯილდოების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, რადგან 13 წელიწადია მღერის და ამ ხნის განმავლობაში მოპოვებული ყოველი წარმატება მისთვის ძვირფასია, მაგრამ იგი მის პირველ დიდ მიღწევად 6 წლის ასაკში მიღებულს მიიჩნევს, როცა ბათუმის ფესტივალზე გრან-პრი და ოქროს მედალი მოიპოვა...

ნინო წელს ხობის ფესტივალზე, უკვე ანსამბლ „რუსთავთან“ ერთად წარსდგება...

ნინო, როგორ იწყება შენი ერთი ჩვეულებრივი დღე?

–დილიდანვე ჩართული ვარ სასწავლო პროცესში... შაბათ-კვირაც კი... დღის მეორე-ნახევარში ყოველდღიურად გავდივარ რეპეტიციებს... თავისუფალი დრო თითქმის არ მაქვს...

ამ ეტაპზე რა ხდება, რას აკეთებ?

–მეთერთმეტე კლასში ვსწავლობ... კარიერული თვალსაზრისით კი გარკვეული წინსვლა შეინიშნება... აქტიურად ვიღებ მონაწილეობას კლასიკური მუსიკის კონცერტებში... ასევე, ჩემდა საბედნიეროდ, მაქვს შეხება ანსამბლ „რუსთავთან“ და ბედნიერი ვარ, რომ წელს წილად მხვდა მათთან ერთად შევასრულო რამოდენიმე მეგრული სიმღერა მშობლიურ ხობში.

ვის მიუძღვის დიდი როლი შენს წარმატებაში?

–რა თქმა უნდა ბატონ გოდერძი ბუკიასა და ანზორ ერქომაიშვილს. სწორედ მათი ინიციატივით მოხდა ჩემი თბილისში გადმოყვანა და საუკეთესო პედაგოგთან–გულიკო კარიაულთან სწავლის დაწყება... განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მათი ჩემდამი მატერიალური ხელშეწყობა. ბატონი გოდერძი ყოველთვიურად სტიპენდიის სახით გარკვეულ თანხას მირიცხავს...

დედაქალაქში გადასვლით შეიცვალა რამე შენს ცხოვრებაში?

–დედაქალაქმა მე უფრო დიდი საასპარეზო სივრცე მომცა. აქ შევძელი საოპერო ხელოვნების შესწავლა, ვიგემე ნამდვილი მუსიკის გემო და ვფიქრობ, ჯერ კიდევ ყველაფერი წინაა. ასევე ხელი შემიწყო საკუთარი თავის რეალიზაციაში. დავუახლოვდი ისეთ ადამიანებს, რომელთა გაცნობაც კი ვერ წარმომედგინა...

ვინ იყო შენი პირველი პედაგოგი ვოკალში და ვინ შეამჩნია შენი მუსიკალური ნიჭი?

–3-4 წლის ასაკში შეამჩნია ჩემი ნიჭი აწ განსვენებულმა მურთაზ ალანიამ, რომელიც ჩემი პირველი პედაგოგი გახლდათ. სწორედ, მისი სურვილი იყო გავყოლოდი სიმღერას. როგორც ჩანს, მისი სურვილი შევასრულე. პირველმა სწორედ მან მიწინასწარმეტყველა დიდი მომავალი... საფორტეპიანო განხრით ჩემი პირველი პედაგოგი იყო ქალბატონი ნანა ჯალაღონია, რომელმაც აღნიშნა, რომ მქონდა აბსოლუტური სმენა...

ვინ არიან შენი გულშემატკივრები, შენს სიხარულს ვის უზიარებ?

–ჩემს გულშემატკივრად ვთვლი ყველას, ვისაც ჩემი წარმატება ახარებს. ჩემს სიხარულს კი ვუზიარებ იმ ადამიანებს, რომელთაც მიუძღვით წვლილი ჩემს განვითარებასა და წინსვლაში, კონკრეტულად: ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს...

რას ნიშნავს შენთვის სიმღერა?

–სიმღერა ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. შეიძლება ითქვას, ჩემი წარსული, აწმყო და მომავალი სიმღერაზეა აგებული. უფალმა ეს ნიჭი მაჩუქა და ვცდილობ, მაქსიმალურად გამოვიყენო. ყოველ ნიჭს თავისი მისია აქვს და მის მფლობელს არ აქვს უფლება გამოუყენებლობით „მოკლას“ იგი. მე ჩემი ნიჭის განვითარებას დაუღალავად შევუწყობ ხელს.

თუ გახსოვს შენი პირველი სიმღერა და რა ასაკში?

–ეს ცოტათი რთული შეკითხვაა. კომპოზიტორი ნამდვილად არ ვიცი ვინ იყო, მაგრამ სიმღერის სახელწოდება და თავად სიმღერა, დღემდე არ დამვიწყებია, ეს იყო „მზის სამეფო–საქართველო,“ რომელიც 3 წლის ასაკში ვიმღერე.

რას გვეტყოდი ფესტივალ „სიმღერა სამეგრელოზე.“ რას ნიშნავს შენთვის ამ ფესტივალზე მონაწილეობა?

–ბატონმა გოდერძი ბუკიამ ძალიან სასიკეთო საქმე გააკეთა ამ ფესტივალის დაარსებით. ფესტივალის მიმდინარეობისას მთელი სამეგრელო გამოცოცხლებულია. ეს ფესტივალი გახდა საფუძველი იმისა, რომ ხობში დაარსებულიყო ძუკუ ლოლუას სახელობის ქართულიხალხური სიმღერის მუზეუმი, რომელსაც ანალოგი არ გააჩნია და მოხარული ვარ, რომ ამ მუზეუმთან არსებული გიმნაზიის მოსწავლე ვიყავი. ჩვენ მეგრული ფოლკლორის მხრივ ფესტივალიდან ფესტივალამდე აღმოჩენების მომსწრენი ვხვდებით, რამაც ახალგაზრდებს ფოლკლორის სიყვარული ჩაუნერგა. ფესტივალმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული მონაწილეები მეგრულად აამღერა, რაც მეგრული ენის პატივისცემას გამოხატავს. პირადად ჩემთვის კი ეს ფესტივალი ძალიან ბევრს ნიშნავს, გამომდინარე იქიდან, რომ სწორედ აქ მოხდა ჩემი ნიჭის აღმოჩენა...

გაგვანდე შენი სამომავლო გეგმები...

–გეგმაშია ანსამბლ „რუსთავთან“ დუეტის ჩაწერა, ასევე კონცერტებზე მათთან ერთად გამოსვლა, ამისთვის კი ბატონი ანზორ ერქომაიშვილის დიდი მადლობელი ვარ. ეს შემოთავაზება ჩემთვის ძალიან საამაყოა...

ესაუბრა
ნანა კემულარია.

საფესტივალო არქივიდან

* * *

ხობის ფოლკლორული ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“ მართლაც დაუვიწყარი და წარუშლელი შთამეჭდილებაა ჩემთვის. ამიტომაც მახარებს და დიდ პატივად ვთვლი, რომ ყოველ ფესტივალში ვმონაწილეობ. ვარ ფესტივალის პირველი პრიზის, „ოქროს საწმისის“ლაურეატიც, რომელიც ჩემთან ერთად ჩემმა კოლეგებმა, არაჩვეულებრივმა კომპოზიტორებმა, ქალბატონმა ნუნუ დუღაშვილმა და ბატონმა ვაქა აზარაშვილმა მიიღეს.

მარიკა კვალიაშვილი,
კომპოზიტორი.

* * *

იმ წარმატებულ ფესტივალებსა და კონცერტებს შორის, რომლებიც „ჩვენებურების“, „თბილისური შემოდგომისა“ თუ „გაზაფხულის“, ვაზისა თუ ღვინის ფესტივალებით არის ცნობილი, გამორჩეულია ქართული ხალხური სიმღერის ხობის საერთაშორისო ფესტივალი—„სიმღერა სამეგრელოზე“, რომლის მასშტაბები, ფუნქციური დაცვირთვა, შედეგები და სიახლეები განუზომელია და დაუფასებელი. ხობის ფესტივალი უკვე მეორის მომცანია და უთოდ მომავალშიც „უხვმოსავლიანი“ იქნება—ასეთია მისი დამფუძნებლის—გოდერძი ბუკიას, საორგანიზაციო კომიტეტის, მთელი ქართველი საზოგადოების რწმენა და მოლოდინი.

დარეჯან კვარაცხელია,
ქურნალ „ივერიელონის“ მთავარი რედაქტორი.



* * *

ძველად ხალხი მღერდა, მღერდა სიამოვნებით, სიყვარულით, მახსოვს მავზომაში ყანიდან ერმით მომავალი გლეხების სიმღერა—ის ხმა თითქოს ახლაც ყურში ჩამესმის.

ის, რაც დღეს ხობში ხდება, უმნიშვნელოვანესია—აღდგა ცრადიცია მეგრული სიმღერების ფესტივალისა, სადაც ანსამბლების წევრებს გვეძლევა შესაძლებლობა, შეხვდეთ ერთმანეთს, სიმღერის ენაზე ვისაუბროთ, ჩვენ აქ ვიღებთ სულიერ საზრდოს, ვივსებით უდიდესი შემოქმედებითი ენერგიით, რაც განსაკუთრებით გვჭირდება თოლკლორის ქანრის მუშაკებს.

ნუგზარ ბარანდია,
ანსამბლ „კოლხეთის“ ხელმძღვანელი.

2011 წლის საერთაშორისო ფესტივალზე გაზეთმა „ხობის მოამბემ“ სტუმარ-მასპინძელს შესაძლებლობა მისცა თავისი აზრი გამოეხატა და სპეციალურად ამისათვის განკუთვნილ ყუთებში მოეთავსებინა. სამწუხაროდ, ყველას დაბეჭდვას ვერ ვახერხებთ..

ეს ბარათები საკუთარ თავთან მარტო დარჩენილი სტუმარ–მასპინძლის განწყობას გამოხატავს. ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება.















ხობელი მოჭადრაკის მორიგი გამარჯვება

დიანა ლომაია ნონა გაფრინდაშვილთან ერთად

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დასრულდა ლეგენდარული ქართველი ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილის სახელობის თასის გათამაშება, რომელშიც ათამდე ქვეყნის მოჭადრაკე მონაწილეობდა. შეჯიბრი შვეიცარული სისტემით 9 ტურად ჩატარდა 300-მდე მოჭადრაკეს შორის.

ნონა გაფრინდაშვილის თასის გათამაშებაზე წარმატებებს მიაღწიეს ხობელმა მოჭადრაკეებმა. ყველაზე უმცროსი ასაკის-8 წლამდე გოგონათა შორის ერთპიროვნულად გაიმარჯვა **დიანა ლომაიამ**. პრიზიორთა შორისაა (7-8 წლის ჭაბუკებში) 7 წლის **თეიმურაზ ჯვიჯვინია**. წვრთნათა ჯონჯურსში მეორე ადგილი მოიპოვა საქართველოს სპორტის დამსახურებულმა მოღვაწემ და მწვრთნელმა **ირაკლი გეთიამ**. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ დიპლომებით, თასებით, მედლებით და ფულადი პრიზებით.

ვულოცავთ გამარჯვებულებს და წარმატებებს ვუსურვებთ ევროპის ჩემპიონატზე მონტენეგროში.

„ადამიანი ისეთ დროს უნდა მოკვდეს, რომ მისი სიკვდილი მეხის გავარდნას ჰგავდესო...!“

ამ სიტყვებს მაცოცხი გოგი მუკია ხშირად იმეორებდა თურმე,—ასე სჯერდა და იმიტომ.

ისე იცხოვრა, წუთითაც არ დავიწყებია, რომ, სანამ ცოცხალი სარ ყველაფერი უნდა გაიღო შენი ხალხისთვის, შენი ქვეყნისთვის, შენი კუთხისა და შენი კულტურისათვის.

ხომის ფესტივალი მისი სიამაყე იყო. თავად გახლდათ ამ ზეიმის ერთ-ერთი ორგანიზატორიც, თავდადებული მოამაგეც და გულღია მასპინძელიც.

დიდი გატაცებით, განსაკუთრებული მონდომებით ემზადებოდა წლევანდელი დღესასწაულისათვის. სამწუხაროდ, ვეღარ მოესწრო—მზის წინა დღეს გარდაიცვალა.

თუმცა, უკვალოდ არაფერი არ იკარგება და, როცა ხომში მესამე ფესტივალის პირველი აკორდი აქუერდება, ალმათ, მაცონი გოგიც მოზეიმეთა გვერდით იქნება—როგორც ერთი რიგითი მონაწილე, ქომაგი და გულშემატკივარი.

ჟურნალი „ივერიელნი“ 2007 წელი.

საქართველოს მჭა ანთას ნერირე...

რაჭა-ლეჩხუმის მაღალ კირდესი,
საქართველოს მჭა ანთას ნერირე,
მა სამარგალოს ვათთირა შხვაშა,
თინა ჩქიმ შურიშ სანაცრელი რე.
ჩქიმ კინოხონიშ წმინდა დიხასი,
ზისხირ დო ოფუშ შურ მიგინაფუ,
მა შემილემუ იფიქრე ართშე,
სოდე ჩქიჩქოლმა გულირი მაფუ.
სოდე მარჭიხოლ ჩქიმო ჭურჭულანს,
ადრე ოჭმარე ვარჩხილიშ ფერ რე,
სოდე, მჭაშ დალუ შურს მიხარენსი,
ჩელა გუთანშა ოსქუალ მაფუ.
ცოცნეშ, ოხვამურს ზარეფ რეკენსი,
თენა ჩქიმ კუნთხუს გოთანა აფუ,
ანწი იფრელი ახალს ვილუქი
მთელ საქართველო მა ართი მაფუ
არმო ადგილი სამარგალოში
ზურმუხტ ფირუზით მოხანცილი რე,
ელმაულარშე ქიმკიჯინექ დო,
აიაშ დიხა მოწკანცილი რე.
რაჭა-ლეჩხუმიშ მაღალ კირდესი,
საქოართველოშ მჭა ანთას ნერირე,
მა სამარგალოს ვათთირა შხვაშა,
თინა ჩქიმ შურიშ სანაცრელი რე.

ლალი ჭედია.



პირველი მაისის ეხლადაშენებული საეკლესიო კომპლექსი და საეპისკოპოსო რეზიდენცია

კონკურსი

ფოთის საქალაქო სასამართლო აცხადებს კონკურსს ამავე სასამართლოს აპარატის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

კონკურსი ცხადდება საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრაციული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით. დაინტერესების შემთხვევაში, თქვენთვის საჭირო ინფორმაციის მიღება შესაძლებელია აღნიშნულ ვებგვერდზე, „ვაკანსიების ძებნის” გვერდზე, ველში „დამსაქმებელი” მიუთითეთ „ფოთის საქალაქო სასამართლო“. დეტალური ინფორმაციის მისაღებად შესაძლებელია დაუკავშირდეთ სასამართლოს კანცელარიას ნომრებზე: 0493 22-08-30; 577 28-42-40; 595 08-86-97.

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.
გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

სარედაქციო კოლეგია:
თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი-მერი ლაგვილავა,
თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე-ნანი კილასონია.
რედაქტორი-მანანა შულაია.
ჟურნალისტები-ნანა კემულარია, ნინო გერგაია.
კომპიუტერული უზრუნველყოფა-ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილ მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“
მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.